# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 6 თებერვალი 1996 № 10 (235) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუცაევი ნაკრების მწვრთნელი?



არა, ჩივაძე არავის გადაუყენებია. იგულისხმება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომლის მთავარ მწვრთნელად, რუსულ „სპორტ-ექსპრესს“ თუ დავუჯერებთ, 30 იანვარს ვლადიმერ გუცაევი დაუნიშნავთ. ჭურში ვმსხდარვართო, დავასკვენით, მაგრამ გუშინ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა დაგვამშვიდა — ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამებაო. „ნაკრების, თუნდაც ახალგაზრდულის მწვრთნელი ფედერაციის ალმასკომმა უნდა დაამტკიცოს, მას ასეთი რამ ჯერ არ მოუმოქმედებია. გუცაევი ჯერჯერობით მხოლოდ ერთ-ერთი კანდიდატია, ასე რომ რუსულ გაზეთს არასწორი ინფორმაცია გამოუქვეყნებია“ — განაცხადა გერმანიიდან წინა დღეს დაბრუნებულმა ახალკაცმა.

ფედერაციაშივე, ოღონდ საინფორმაციო განყოფილებაში, უარყვეს ზოგი გაზეთის ცნობა შემოდგომაზე თბილისში ფიფას პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის ჩამოსვლის თაობაზე. „ფედერაციას არანაირი ოფიციალური საბუთი ამის შესახებ არ გააჩნია“ — იყო პასუხი.

აქვე გვაცნობეს, რომ ჯერჯერობით არ დადგენილა საქართველოს ნაკრების ამხანაგური საერთაშორისო მატჩების განრიგი — მოლაპარაკება თურმე 15 ქვეყანასთან მიმდინარეობს, თუმცა სხვა წყაროებს თუ დავუჯერებთ, მარტის ბოლოს ბაქოში აზერბაიჯანის ნაკრებთან თამაშის საქმე უკვე გაჩარხულია. ასევე სანდო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, გამორიცხული არაა, აპრილის ბოლოს თბილისს ესტუმროს ჩილეს (!) ეროვნული გუნდი, თანაც უძლიერესი შემადგენლობით.

# ჯამარაული თბილისშია, მას კი ხვალ ინგლისში ელიან

გოჩა ჯამარაულმა ჩვენს კორესპონდენტს გუშინ უთხრა, რომ მისი ბრიტანეთს გამგზავრება 12 თებერვლისთვის გადაიდო. მანამდე გოჩას მენეჯერი თბილისში ჩამოვა, შემდეგ კი ორივე ინგლისს მიაშურებს. როგორც შევიტყვეთ, მისით დაინტერესებული „ქოვენთრი სიტი“ საგანგებოდ სამ საკონტროლო მატჩს გამართავს ჯამარაულის გამოსაცდელად. თავად გოჩას თქმით, გიორგი ქინქლაძის ბრწყინვალე თამაშს ინგლისში ქართველების მიმართ იქაურთა ინტერესი გაუღვიძებია და გოჩას გადაბირებაც მას შემდეგ მოუნდომებიათ.

გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით „ქოვენთრი სიტის“ მწვრთნელს რონ ატკინსონს, რომელმაც გვითხრა, ჯამარაულს ოთხშაბათისთვის (?!) ველი და მისი ჩვენს კლუბში დარჩენის საკითხი საწვრთნელი მატჩების შემდეგ გადაწყდებაო.

ამასობაში „ძველმა ინგლისელმა“ გიორგი ქინქლაძემ „მანჩესტერ სიტისთან“ ერთად მორიგი 3 ქულა ჩაიწერა: კლაფისა და ქუინის გოლებით 2:0 დაამარცხა „ქუინზ პარკ რეინჯერსი“.

## «დინამომ» «გურია» დაპატიჟა

ლანჩხუთის „გურია“ ახალი სეზონის მზადება თბილისის „დინამოს“ დირექტორატის ნებართვით დღეიდან დაიწყო დიღმის ბაზაზე, სადაც ორკვირიან შეკრებას გაივლის. შემდეგ „გურია“ ლანჩხუთში გააგრძელებს სამზადისს. გუნდში ამჟამად 18 ფეხბურთელი ირიცხება, მთავარ მწვრთნელად კი ამ ცოტა ხნის წინ დაინიშნა ბეგი სიხარულიძე, კაცი, რომელმაც „გურია“ პირველად გადაიყვანა სსრკ უმაღლეს ლიგაში. სიხარულიძეს ლანჩხუთელი რამაზ ფირცხალაიშვილი დაეხმარება. კლუბს თბილისში ახლავს მისი პრეზიდენტი ედიშერ ჟორდანია. მათი თქმით, „გურიას“ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არათუ ადგილის შენარჩუნება ჯგუფში, არამედ ცხრილში ზემოთაც ანაცვლება. ვრცელ წერილს ლანჩხუთის „გურიას“ შესახებ მომდევნო „სარბიელში“ შემოგთავაზებთ.

# ევროპა გაგიჟდა

პროექტიც ამას ჰქვია! აპირებენ 28 გუნდის შეკრებას, მათ ორ დივიზიონად დაყოფას, თითო დივიზიონის კიდევ ორ ჯგუფად დანაწილებას და უეფასაგან დამოუკიდებელი ჩემპიონატის გაჩაღებას. უკვე შეურჩევიათ კიდეც გუნდები. „ა“ დივიზიონის ჩრდილოეთ ჯგუფში მოსკოვის „სპარტაკს“, „ჰამბურგს“, დორტმუნდის „ბორუსიას“, „შტუტგარტს“, კიევის „დინამოს“ და შვედეთის და პოლონეთის თითო გუნდს ეპატიჟებიან. სამხრეთ ჯგუფში სურთ „ბაიერნი“, „იუვენტუსი“, „ნაპოლი“, „მილანი“ და ავსტრიის, შვეიცარიის და ხუხეთის თითო კლუბი. „ბ“ დივიზიონის ჩრდილოეთში — „აიაქსი“, „პარი სენ-ჟერმენი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ტოტენჰემი“, ან „არსენალი“, „ეინდჰოვენი“, „ანდერლეხტი“, და დანიელთაგან ვინმე; სამხრეთში — „ბარსელონა“, „პარმა“, „ბენფიკა“, „რეალი“, „სტიაუა“, პლუს ბულგარეთის და საბერძნეთის გუნდები.

ნუ გგონიათ, შეჯიბრება კლასიკური, ჩვეული სისტემით ჩატარდება. საქმე ისევე აირევა, როგორც სხვა პროფესიული სპორტის ლიგებშია არეული. მაგალითად, **NBA, NHL, NFL**, ავსტრალიური ცამეტკაციანი რაგბის ლიგა, ავსტრალიური ბურთაობის ლიგა — ეს ის ლიგებია, სადაც მიუხედავად ჯგუფებად დაყოფისა, მაინც ყველას ეთამაშები. გავიმეოროთ — გუნდები მარტო თავიანთ თანაჯგუფელებს კი არ ეთამაშებიან, არამედ სხვებსაც, თანაც ამ ლიგათა უმეტესობაში ზოგი ზოგს შეიძლება ორჯერ შეხვდეს, ზოგს კი არცერთხელ. ამათგან განსხვავებით, ფეხბურთელები მკაცრად აპირებენ 54 თამაშს, ე. ი. ყველა ყველას ორჯერ შეხვდება. ქულები, ჩვეულებრივად, ყველა თამაშზე დაირიცხება, ოღონდ, ბუნებრივია, ცხრილები სხვადასხვა ჯგუფებისათვის ცალ-ცალკე შედგება. ერთხელაც: ყველა ყველას ეთამაშება, მაგრამ ცხრილში მხოლოდ თავის თანაჯგუფელებს შეეჯიბრება. ჯგუფის ორორი გამარჯვებული ეგრეთ წოდებული ოლიმპიური სისტემით დივიზიონის ჩემპიონის ტიტულისთვის გააგრძელებს ბრძოლას, შემდეგ კი მთელი ლიგის გამარჯვებულიც გამოვლინდება.•

ამგვარად, მინიმუმ 54 თამაში ყველას მოუწევს. ასეთ პირობებში კი იმავდროულად ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა ზღაპარია. „ბაიერნი“, მაგალითად, ბუნდესლიგაში ასპარეზობას მეორე გუნდით აპირებს.

რა არის ეს, ბოდვა? ბოდვა უძხეთ და ამ გეგმის რეალურად განხორციელებას 1997 წელს, მაქსიმუმ 1998-ში აპირებენ.

ვინ აპირებს?

ყველაფერი ბოსმანის შერეკილ საქმეს გამოება. ასეთი ევროლიგის შექმნა ევროპის სუპერკლუბების მეპატრონეებს დიდი ხანია სურდათ, მაგრამ უეფამ ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგონა, ვნებები ოდნავ დაცხრა, ახლა კი თავიდან აგორდა ტალღა. იუჰანსონმა ბოსმანის საქმეს ვერაფერი დაუპირისპირა და როგორც ადრეც გაუწყეთ, ცალკეულ ქვეყნებში მოგზაურობა და იქაურთა დანამუსება დაიწყო. ნუთუ ასეთი გულუბრყვილო კაცია ამხელა უეფას პრეზიდენტი, რომ ფეხბურთის ბიზნესმენებს ეუბნება, იურიდიულად ვერაფრით დაგსჯით და ამიტომ, მოდით, დავიფიცოთ, რომ მხოლოდ ძველ წესებს დავემორჩილებით, ფიცის დამრღვევს კი დედა შაერთოს ცოლადო?! გულუბრყვილობაა არა?

აი, მაგალითად, 17 იანვარს გერმანული კლუბების შეფები შეიკრიბნენ მაინის ფრანკფურტში. ის-ის იყო ყველამ დაიფიცა, ევროსასამართლოს ახალ კანონებს არად მივიჩნევთო, რომ წამოდგა „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი და განაცხადა, არ მსურს ძველ წეს-კანონს დავემორჩილოო. ბეკენბაუერმა ეს საქმითაც დაადასტურა: მან მიონხენგლადბახის „ბორუსიიდან“ შვედი მარტინ დალინი გადაიყვანა, თანაც „ბორუსიას“ გროშიც არ გადაუხადა.

სწორედ ბეკენბაუერმა განაცხადა ცოტა ხნის წინ, ევროპის საფეხბურთო ლიგა, რომელზეც ზევით გესაუბრეთ, უკვე შევქმენით და უეფა ფეხებზე გვკიდიაო (ადრე მას სურდა, ბუნდესლიგა გაეყვანა გერმანიის საფეხბურთო კავშირიდან). ახლა რა ხალხი უდგას ბეკენბაუერს ამ საქმეში გვერდით? „მილანის“ პრეზიდენტი, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი, „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხოსე ნუნიესი და ამ რანგის სხვა სვავები...

ესეც თქვენი ბოსმანი! არ გაგიკვირდეთ, ეს რაღაც ევროპის პროფესიული ლიგა მართლაც რომ შექმნან. საქმე ისე მიდის, ევროკავშირი უეფას ამარცხებს. „რომას“ მწვრთნელმა კარლო მაცონემ თქვა: კარგი იქნებოდა, წესები შუა სეზონში არ შეცვლილიყო, მაგრამ რას იზამ. თუ ვნახავ, რომ სხვა კლუბები ახალ წესებს დაუჭერენ მხარს, ავდგები და უეფას თასის მეოთხედფინალში ჩემს ოთხივე უცხოელს ტერნს, ალდაირს, ფონსეკას და ბალბოს გამოვიყვანო. „მილანმაც“ იგივე განაცხადა: „ბორდოსთან“, თუ ფრანგები ძველ წესს დაარღვევენ, მთელს ჩემს ლეგიონს შევასევო; „ინტერი“ კი საკუთრივ იტალიის ჩემპიონატში აპირებს „ჯენტლმენური შეთანხმების“ დარღვევას.

უეფამ კიდევ ერთხელ სცადა ბედი. მან ევროკავშირის შეფებს თავისი წარმომადგენლები ჟან ფურნიე-ფაიარი და დევიდ უილი მიუგზავნა. ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე უეფას წარგზავნილებმა სცადეს კონტინენტის ბატონთათვის აეხსნათ, რომ ფეხბურთი სპეციფიური სფეროა, სადაც ზოგადევროპული კანონები სასიკეთოდ არ იმოქმედებს. პასუხად მიიღეს, თუ ჭკუით არ მოიქცევით, საჯარიმო სანქციებს ავამოქმედებთ და სეირს გაჩვენებთო.

შეხვედრიდან გამოსულმა დევიდ უილმა პრესას ესლა განუცხადა, აზრი არა აქვსო. იქნებ, თან ხელი ჩაიქნია კიდეც.

პაპუნა ქედია




შაბათს სამხრეთაფრიკელთა გამარჯვებით დამთავრდა აფრიკის ეროვნებათა თასის მე-20 გათამაშება. ამის შესახებ მეოთხე გვერდზე წაიკითხავთ, აქ კი ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებს გაგაცნობთ:

1. შოქრი ელ უაერი (ტუნისი, „ესპერანსი“)
2. იასერ რადვანი (ეგვიპტე, „ბალადია“)
3. მარკ ფიში (სამხრეთი აფრიკა, „ორლანდო პირატესი“)
4. ელაია ლიტანა (ზამბია, „ალ ჰილალი“ საუდ. არაბეთი)
5. აიზეკ ასარე (განა, „ანდერლეხტი“ ბელგია)
6. ზუბეირ ბეია (ტუნისი, „ესპერანსი“)
7. ერიკ თინკლერი (სამხრ. აფრიკა, „სეტუბალი“ პორტუგალია)
8. ჰაზემ ემამი (ეგვიპტე, „ზამალექი“)
9. აბედი პელე (განა, „ტორინო“ იტალია)
10. კალუშა ბვალია (ზამბია, „ამერიკა“ მექსიკა)
11. ენტონი იებოა (განა, „ლიდსი“ ინგლისი)



მეხუთე გვერდზე კიდევ ერთი ჩვენი ლეგიონერის ამბებს შეიტყობთ

## ლინდა ქეცბაია ფეხბურთს არ ითამაშებს

ინტერვიუ თემურ ქეცბაიასთან

# კიეველები ისტორიას იმეორებენ

**ესენგეს ჩემპიონთა თასი**

II ტური, 29 იანვარი

A ჯგუფი: ზიმბრუ — რუსეთი 0:3. ნეფტჩი — სკონტო 1:2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 3 | 0 | 0 | 7-4 | 9 |
| რუსეთი | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| ნეფტჩი | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| ზიმბრუ | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

B ჯგუფი: პიუნიკი — ყირგიზეთი 1:1. ელიმაი — სპარტაკ-ალანია 0:3

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკ-ალანია | 3 | 0 | 0 | 13-0 | 9 |
| ელიმაი | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| პიუნიკი | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |
| ყირგიზეთი | 0 | 1 | 2 | 1-10 | 1 |

C ჯგუფი: კოპეტდალი — ფლორა 4:1, დინამო (მნ) — დინამო (კ) 3:2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მინსკი | 3 | 0 | 0 | 9-5 | 9 |
| კიევი | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| კოპეტდალი | 1 | 0 | 2 | 7-8 | 3 |
| ფლორა | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

D ჯგუფი: ჟალგირისი — პამირი 5:2, ქიაფაზი — დინამო (თბ) 0:3

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| თბილისი | 2 | 0 | 1 | 13-3 | 6 |
| პამირი | 1 | 0 | 2 | 5-16 | 3 |
| ქიაფაზი | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |

მეოთხედფინალები, 30 იანვარი

დინამო (თბ) — დინამო (მნ) 1:2
ჟალგირისი — დინამო (კ) 0:3
სკონტო — ელიმაი 1:0
სპარტაკ-ალანია — ნეფტჩი 9:0

ნახევარფინალები, 1 თებერვალი

დინამო (კ) — დინამო (მნ) 4:0
სპარტაკ-ალანია — სკონტო 2:0

ფინალი, 3 თებერვალი

დინამო (კ) — სპარტაკ-ალანია 1:0
გოლი: შევჩენკო (80)

ამ ტურნირზე „სპარტაკ-ალანიამ“ ექვს თამაშში ერთადერთი გოლი გაუშვა და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეებს 24 გაუტანა, მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. კიეველებმა კი ჩემპიონობისთვის ბურთების ასეთი შეფასება — 14-3 იკმარეს.

ბურთებზე შემთხვევით არ ჩამომიგდია სიტყვა. კიეველებმა წყნარად, აუღელვებლად და მეტად პრაქტიკულად დაიწყეს ტურნირი, ორი თამაში ისე მოიგეს, თითმხილველნი ამბობენ, კიევის „დინამო“ ძველი ლიდერი ჩრდილიღააო, არც მინსკელებთან გამოუდვიათ თავი კიეველებს, 88-ე წუთამდე 2:1-ს იგებდნენ, ორ წუთში კი ორი გოლი გაუშვეს და 2:3 დამარცხდნენ. გაუშვეს-მეთქი, შემთხვევით არ მითქვამს, რადგან, ვგრძნობ, კიეველებმა შეგნებულად აარიდეს თავი მეოთხედფინალში თბილისელებთან თამაშს, ხოლო მინსკელებთან ორჯერ წამგებები რომ არ იყვნენ, ნათელი იყო. მოკლედ, ძალების დაზოგვით, როგორც სჩვევიათ, მეტოქის გაგუდვით და ხისტი თამაშით ფინალს მიაღწიეს. „სპარტაკ-ალანია“ კი სულ პარი-პარალეთი მივიდა ფინალამდე — ისედაც ხომ კარგი გუნდი იყო და არც მეტოქეები შეხვედრია მაინცდამაინც ძლიერი, ან რატომ უნდა შეხვედროდა, როცა ჩემი რუსი კოლეგების თქმით, ამაზე ტურნირის ორგანიზატორებმა იზრუნეს და გუნდები ისე გაანაწილეს, რომ რუსეთის ჩემპიონი, ფაქტიურად უბრძოლველად უნდა გასულიყო ფინალში, თუ, რა თქმა უნდა, რიგის „სკონტო“ არ შეუშლიდა ხელს. C და D ჯგუფებში კი თბილისის, მინსკის და კიევის „დინამოებს“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“ უნდა დაეჭამათ ერთმანეთი. ყველა დაკვირვებულმა გულშემატკივარმა იცის, რომ ხუთი-ათი წლის მანძილზე რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ შესარჩევი ქვეჯგუფები, ფაქტობრივად, შესარჩევი კი არა, უფრო ტურისტულია, ასე რომ, ამ ტურნირზე ამგვარი „განთესვა“ მოსალოდნელიც იყო. ამით ოდნავადაც არ ვაკნინებ „სპარტაკ-ალანიას“ ოსტატობას, მაგრამ მეტოქეთა სისუსტემ, ეტყობა, მოადუნა ვლადიკავკაზელები, უძლეველობის ილუზიაც შეუქმნა და ამიტომაც იყო, რომ პირველად ამ ტურნირების ისტორიაში რუსეთის ჩემპიონმა ვერ გაიმარჯვა. ფინალი სანახაობრივად კარგი ვერ გამოდგა, კიეველებმა მეტოქეს აგრძნობინეს, ჩვენც კაცები ვართო და არაფერი დაუთმეს. ვლადიკავკაზელთა ძირითადი კოზირი ამ მატჩში მათი მოთამაშეების ინდივიდუალური ოსტატობა იყო, კიეველები კი უფრო შეკრულ გუნდად წარმოგვიდგნენ, მათ შეტევებსაც უფრო ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, საგოლე მომენტებიც ასევე ორგანიზებულად შექმნეს და გოლიც ასევე გაიტანეს: მინდვრის ცენტრის სიახლოვეს, მარჯვენა ფრთიდან ხაჯარიმოში ჩაგდებული ბურთი შევჩენკომ მიიღო, დაამუშავა და კარში დაარტყა. მარჯვენათი მის პირველ დარტყმას წინ პაგაევი და თეთრაძე აღუდგნენ, ამათგან ასხლეტილი ბურთი ისევ შევჩენკოს მიუვიდა და ამან ახლა ცაციათი მარცხენა კუთხეში გაგზავნა. დარჩენილ ათ წუთში „დინამო“ მაგრად დადგა და უპირატესობაც შეინარჩუნა.

ოდესღაც, 1961 წელს სწორედ კიევის დინამოელებმა დაარღვიეს მოსკოველთა ჰეგემონობა და პირველად გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. მაშინ მათ რიგებში იყო ნახევარმცველი იოჟეფ საბო. ახლაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისევ კიეველებმა დაარღვიეს ტრადიცია და მათთვის პირველივე ესენგურ ტურნირში საბო-მწვრთნელის ხელმძღვანელობით სირცხვილი აჭამეს რუსეთის ფეხბურთს, თვალსა და ხელს შუა წაართვეს ჩემპიონობაც და 42 ათასი დოლარიც.

ცნობილი რუსი კომენტატორი ვლადიმერ პერეტურინი, თავის დროზე რუს გოგონებს რომ სთავაზობდა, სურინამელ კაცებთან დაწექით, ეგება, კარგი ფეხბურთელი შვილები გამოგივიდეთო, ახლა პოლიტიკასაც გადასწვდა: ვლადიკავკაზის „სპარტაკი“ ეროვნების მიხედვით ჩამოასახელა, შელიაზე კი სულაც „მინგრელ“-ო, თქვა. მოკლედ, ეტყობა იმ ასაკს მიუკაკუნა, ამგვარი რამ რომ ემართებათ ხოლმე...

ახლა ორიოდ სიტყვა ტურნირის ორგანიზაციაზეც ვთქვათ: იგი ჩინებულად იყო მოწყობილი, ყველა გუნდი სასტუმრო „კოსმოსში“ ცხოვრობდა, გარდა „სპარტაკ-ალანიასი“, რომელიც რუსთა ნაკრების ნოვოგორსკის ბაზაზე დაბინავებულიყო გაზაევის დაჟინებით. ჟურნალისტებს მუშაობის კარგი პირობები გვქონდა, პრეს-ცენტრში თამაშის დამთავრებისთანავე შეგვეძლო მიგვეღო მატჩის ოქმები, რედაქციასთან დასაკავშირებლად მუდამ მზად იყო რამდენიმე ტელეფონი, ფაქსი, მოკლედ, წინა ტურნირისგან განსხვავებით რუსებმა მედია უფრო დააფასეს. ეს ალბათ იმიტომაც, რომ ტურნირს სპონსორები გამოუჩნდა: რუსეთში უალკოჰოლო სასმელების დამმზადებელი კომპანია „პეპსი კოლა ინტერნეიშნლი“ გენერალური სპონსორი გახდა, ტურნირსაც ოფიციალურად ამიტომ ეწოდა „7 UP — თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი“. „7 UP“ ახლა პირველ ადგილზეა რუსეთში უალკოჰოლო სასმელების გასაღებით, წლიური ბიუჯეტი კი 2 მილიარდი დოლარი ჰქონია და აბა, 120 ათასი დოლარის გადახდა ამხელა რეკლამისთვის რას გაუჭირდებოდა, თანაც, მანეჟში ლამის იყო დაგვდევდნენ „7 UP“ -ის ფორმიანი გოგონები და ამ სასმელს უფასოდ გვასმევდნენ. ტურნირის მეორე სპონსორმა „რიბოკ როსიამ“ კი ტურნირის მომსახურე პერსონალი ხომ შემოსა, თითო-თითო მაისური ჟურნალისტებსაც ჩამოურიგა. ტურნირის კიდევ ერთმა სპონსორმა „მობილ ტელეკომმა“ შეჯიბრება საკომუნიკაციო საშუალებებით უზრუნველყო. ეს კი არა, კონკურსიც მოაწყო, ვინც ფინალისტებს და მატჩის ანგარიშს გამოიცნობდა, ფირმა პეიჯერს ჩუქნიდა და ერთი წლის განმავლობაში ამის მოხმარების საფასურს უხდიდა. მე პატრიოტიზმმა მძლია, ფინალი თბილისის „დინამო“ — ვლადიკავკაზის „სპარტაკი“ 2:1 ჩავწერე და უპეიჯეროდ დავრჩი, ჯავრი კი რუს ჟურნალისტებზე ვიყარე, მათ ნაკრებს კოლეგათა ამხანაგურ მატჩში ცხრიდან რვა გოლი გავუტანე.

წერილს კიევის „დინამოსა“ და მის ლიდერზე ვიქტორ ლეონენკოზე ცალკე შემოგთავაზებთ, დღეს კი ვლადიკავკაზელ ჩვენებურებზე მოგახსენებთ. „სპარტაკ-ალანიას“ ოთხ მატჩს ვუყურე მანეჟში და ქართველთა თამაშით მეტად კმაყოფილი დავრჩი. რევიშვილი ისე ირჯებოდა, მანეჟის მარჯვენა ფრთას ან ახლა ასძვრება საფარი, ან ახლა-მეთქი, ვფიქრობდი. ყაველაშვილიც ჩინებულად თამაშობდა. გოლი არ იყო, ამათ წვლილი რომ არ შეეტანათ. რა თქმა უნდა მეტოქეთა სისუსტეს ვითვალისწინებ, მაგრამ მაინც გასახარი იყო, რომ ეს ორი ქართველი ყველას სჯობდა გუნდში და ერთი შეხედვითაც ჩანდა, „სპარტაკ-ალანიას“ ლიდერები რომ იყვნენ. ფინალი იმიტომ წააგეს ვლადიკავკაზელებმა, შელია რომ არ ჰყავდათ, გადამწყვეტი გოლი სწორედ დაცვის ცენტრიდან გაუშვეს. ამასთან, გოლამდე კიდევ ორჯერ შეცდნენ ცენტრალური მცველები. რევიშვილზე კი ასეთი უცნაური ამბავი უნდა გითხრათ; ფერღანის „ნეფთჩისთან“ თეთრაძის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი ხაზას უნდა დაერტყა, მაგრამ ბურთისაკენ დაძრულმა შუა გზაზე რატომღაც გადაიფიქრა, ფეხი კი ინერციით მაინც წაჰკრა ბურთს, რომელიც ისე გაღოლდა კარისაკენ, მეკარე რომ არ მდგარიყო, მაინც არ გავიდოდა. მოკლედ, არც მე და, როგორც აღმოჩნდა, არც ტურნირზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს მსგავსი არაფერი გვენახა...

ფერღანელები ვახსენე ალბათ, გახსოვთ, შარშანწინ სწორედ მათ გამოგვაგდეს ნახევარფინალიდან. მათმა მწვრთნელმა იური სარქისიანმა ისევ გაიმეორა, ჩვენ სავსებით ლოგიკურად მოვიგეთო და ამიხსნა; მაშინ მაგარი შეკრული გუნდი მყავდა, უზბეკეთის ხელმძღვანელობაც მხარში მედგა, ფინანსური პრობლემები არ მაწუხებდა. როცა თქვენ ზედიზედ ორი გოლი გაიტანეთ, ჩვენები ფსიქოლოგიურად „დინამოს“ ავტორიტეტის წნეხის ქვეშ იყვნენ, შესვენებაზე ეს ტვირთი მოვუხსენი, გაზეთიც კი წავუკითხე, სადაც ერთი თქვენებური იკვეხნიდა, ჩემპიონები გავხდებითო. ჰოდა ჩემი ბიჭებიც გარდაიქმნენ და მატჩიც სავსებით ლოგიკური შედეგით დამთავრდა. მერე ამ გუნდიდან შვიდმა კაცმა აზიის ჩემპიონობა მოიპოვა, ახლა კი ფერღანის ახალმა ხელმძღვანელობამ ფეხებზე დაგვიკიდა, ფეხბურთი არ აინტერესებთ. იმ ძველი გუნდიდან ზუსტად 12 ფეხბურთელი წავიდა და გული მიგრძნობს, ამ ტურნირზე მაგრად ჩავფლავდებითო. ეს სიტყვები „სპარტაკ-ალანიასთან“ მატჩის წინ მითხრა...

ახლა კი, გავკადნიერდები და ტურნირზე ჩვენების მატჩის ჩემეულ შეფასებას შემოგთავაზებთ. ჯერ ჩვენს დამმარცხებლებზე, მინსკელ დინამოელებზე ვთქვათ. წინა წერილში გაუწყეთ, რომ ეს გუნდი რვა წელია ამ შემადგენლობით თამაშობს და, ბუნებრივია, ჩვენსაზე უკეთ იქნებოდა შეთამაშებული, მაგრამ ვერანაირი შეთამაშება და ათლეტიზმი ვერ დაამარცხებდა ჩვენებს, რომ არა მინსკელთა ლიდერი ვალენტინ ბელკევიჩი,რომელიც, ასე ვთქვათ, ქართული ფეხბურთს თამაშობდა და გუნდის პოტენციას მაქსიმალურად აღენდა. ორიოდე წლის წინ ბელკევიჩს დოპინგის გამოყენებისთვის წელიწადნახევრიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. მან სასჯელი პირნათლად მოიხადა და ახლა ისეთ ფორმაშია, მოსკოვის „დინამოს“ ხელმძღვანელობა მზადაა მასში 1 მილიონი დოლარი გადაიხადოს. სიტყვამ მოიტანა და, მოსკოველებს მინსკელთა მცველი შნატიუკიც სდომებიათ.

თბილისელთა მარცხის მიზეზად შეიძლება რამდენიმე დასახელდეს. პირველ რიგში, მეტოქეებზე (აზიელებს არ ვგულისხმობ) სუსტი ფიზიკური და ათლეტური მომზადება. დარბაზის ფეხბურთის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც სითხის მეტი გამოყოფა ხდება და გარდა ამისა ფეხბურთელებს სულ სული ეხუთებათ სივრცის შეზღუდვის გამო, ჩვენებმა მხოლოდ პირველი მატჩი ითამაშეს ჩვეულ დონეზე, მინსკელებიც და ვილნიუსელებიც ჩვენებზე გამძლენი აღმოჩნდნენ — ეს უკვე ჩვენი „დინამოს“ სეზონისწინა მომზადების ნაკლია. მარცხის შემდეგი მიზეზი სათამაშო დისციპლინის ხშირი დარღვევა იყო: ჩვენი მცველები შეტევაში ხშირად კი ერთვებოდნენ, მაგრამ თავიანთ ზონაში ჩამოსვლას აგვიანებდნენ, ნახევარდაცვაც შეტევით უფრო იყო გართული და დაცვის ფუნქციებს ვეღარ თუ აღარ ასრულებდა. ამის ბრალია, რომ ნახევარმცველებმა რვა გოლი კი გაიტანეს, მაგრამ ჩვენს გაშვებულ გოლებში მათი წილიც არის, რაკილა წინ წასულ მცველებს იშვიათად აზღვევდნენ. ვერც თავდასხმამ გამოიჩინა თავი, საერთო ჯამში ხუთმა თავდამსხმელმა ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ხუთი გოლი გაიტანა, აქედან ოთხი — აზიელებთან. საკმაოდ მოიკოჭლებენ ჩვენები პროფესიულადაც — ახლა „დინამოში“ თითო-ოროლა ნაღდი პროფესიონალი თუა. ეს გასაგებიცაა — ახალგაზრდები არიან. ჩვენი წაგების მიზეზებს ეროვნული ჩემპიონატის სისუსტეშიც ვხედავ. როცა სეზონში ოთხი ან ექვსი სერიოზული მატჩი გიწევს და დანარჩენ თამაშებში მეტოქე ელემენტარულ წინააღმდეგობას ვერ გიწევს, რომელ კლასის ამაღლებაზეა ლაპარაკი. ეს, ცხადია, ფეხბურთელთა კლასსაც აქვეითებს, ყურადღებასაც ადუნებს და მოთამაშეც ვეღარ იზრდება: იმ დონეზე რჩება, რომლითაც საქართველოს ჩემპიონატს თავისუფლად იგებს.

კიდევ ერთი მიზეზია ქართველთათვის უკვე ტრადიციად ქცეულ საგოლე მომენტების გამოუყენებლობა. ათიდან ათი გოლი, ბუნებრივია, არ გავა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ოთხიდან ერთმა გატანილმა გოლმა შეიძლება თამაშის ბედი შემოატრიალოს კიდეც. ჩვენი წაგების მიზეზების ჩამოთვლა კიდევ ერთი „ქართული სენით“, შორიდან ძლიერი დარტყმების უუნარობით მინდა დავამთავრო. რატომ არ ურტყამენ ჩვენები საჯარიმოს მისადგომებიდან და მაინცდამაინც კარში შესვლას რატომ ლამობენ, დღემდე ვერ გამიგია. ესენგეს ტურნირი ამის უეჭველ დადასტურება იყო.

ახლა ორიოდ სიტყვა ჩვენს პლიუსებზეც ვთქვათ. „პამირთან“ პირველ მატჩში „დინამო“ სულ სხვანაირი დავინახე. კა[illegible]ტონი, სუსტი მეტოქე იყო, მაგრამ ამ სუსტმა მერე ჩვენი მძლეველის, „ჟალგირისის“ მომგები „ქიაფაზი“ დაამარცხა. მეტოქის სისუსტემ კი არ ითამაშა მთავარი როლი „პამირის“ განადგურებაში, არამედ ჩვენების სწორმა, გააზრებულმა თამაშმა, სათამაშო დისციპლინის დაცვამ და საგოლე მომენტების მაქსიმალურმა გამოყენებლობამ.

სიტყვამ მოიტანა და, მსაჯებზე მინდა ვთქვა. წაგების მარტო მათთვის დაბრალება ჩემი მხრიდან პროფესიული უსინდისობა იქნება, მაგრამ უთქმელობაც არ იქნება. სამივე რუსმა მსაჯმა, ივანოვმაც, ფილიპოვმაც და ჰუსაინოვმაც ჩვენი მეტოქეების მიმართ აშკარა მიკერძოება გამოიჩინეს და თავისი წვლილიც შეიტანეს ჩვენს დამარცხებაში.

მოკლედ, ამ ტურნირმა უცხადესად წარმოაჩინა ჩვენი სისუსტეები და კლუბის და გუნდის ხელმძღვანელებს დაანახა, რა მიმართულებით უნდა წარმართონ მუშაობა — არც „ჟალგირისი“ და არც მინსკის „დინამოა“ ის გუნდები, რომელთა ძლევა ოცნებად უნდა გვექცეს...

მამუკა კვარაცხელია
მოსკოვი — თბილისი

ალექსანდრ ვილფის
ფოტოები

რედაქცია მადლობას უხდის „დინამოს“ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას ჩვენი კორესპონდენტის მოსკოვს მივლინებაში დახმარებისთვის.



ყიზილაშვილს ტურნირის წინ კოჭი ღრძო და თავისი სიტყვა ვეღარ თქვა


გოგიჩაიშვილი რუსულმა პრესამ ქართველებში საუკეთესოდ შერაცხა

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ სამძიმარს უცხადებს გიორგი დემეტრაძეს დედის გარდაცვალების გამო.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის სუპერთასი. პირველი მატჩი

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სარაგოსა — აიაქსი | 1,6 | 3,0 | 3,0 |

საფრანგეთის ჩემპიონატი. 26-ე ტური

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტრასბური — ოსერი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| კანი — ბორდო | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ლანსი — ლილი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ნანტი — ბასტია | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| მონაკო — პარი სენ-ჟერმენი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| გენიონი — სენტ-ეტიენი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| ლე ავრი — ნიცა | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| მონპელიე — გინგამი | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ლიონი — მარტიგი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| რენი — მეცი | 2,0 | 2,5 | 2,5 |

ინგლისის თასი. მეოთხე წრე

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ლიდსი | 2,6 | 2,8 | 1,8 |
| ჰადერსფილდი — პიტერბრო | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| იფსვიჩ თაუნი — უოლსოლი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| შრუზბერი — ლივერპული | 5,0 | 3,0 | 1,3 |

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენტრი — მანჩესტერ სიტი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| მიდლსბრო — უიმბლდონი | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| ჩარლტონი — ბრენტფორდი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ნოტინგემი — ოქსფორდი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| საუთჰემპტონი — [illegible] | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| სვინდონი — ოლდჰემი | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| ვესტ ჰემი — გრინსბი | 1,15 | 3,1 | 7,0 |

ამავე წრის გადათამაშება.

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტ ვეილი — ევერტონი | 2,5 | 2,5 | 2,0 |

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვულვერჰემპტონი — ტოტენჰემი | 3,0 | 3,0 | 1,6 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | | 2-0 | | 1-3 | | 1-1 | | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-1 | | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | | 1-0 | 1-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-1 | 3-1 | | | 4-1 | | | 1-0 | 1-0 | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | | 4-0 | 1-0 | 0-0 | | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | 2-0 | | | | 0-0 | | | | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | | 0-0 | 2-0 | | | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | 2-0 | | 4-1 | | | | 3-1 | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | | | | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-2 | 3-2 | | | 4-1 | 2-0 | | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | | 0-0 | | 1-0 | 0-2 | | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | | | 1-1 | | 1-1 | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-2 | 1-2 | | 0-1 | 0-2 | | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | | ■ | | | 1-0 | 0-1 | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | | | 3-1 | 3-1 | ■ | | 1-1 | 3-3 | | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | | 2-1 | | | 0-5 | 1-3 | | 0-2 | | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | 2-0 | | | | | 4-2 | ■ | | | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | 2-2 | 0-0 | | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | | 3-0 | | | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | | | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | | 1-0 | 0-2 | | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-1 | 1-1 | | | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | | | | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | | 1-4 | | 1-0 | 1-0 | | 0-0 | 3-0 | 0-0 | | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | | | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | | ■ | 2-0 | | | 2-3 | 4-0 | 1-3 | | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | | 1-0 | 3-1 | | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | | 3-0 | 5-2 | | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | | 1-1 | 2-0 | | | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | 1-1 | | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | | | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | | 1-0 | ■ | 3-1 | | 2-0 | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | | | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | | | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | | 0-1 | | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | 1-1 | 3-2 | | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |


## CLEAR WATER TRAINING TOURS

### საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით

საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით **CLEAR WATER** განკუთვნილია საწარმოების, ფინანსური და კომერციული სტრუქტურების სპეციალისტებისთვის, რომლებიც თავიანთი სპეციალობით დაინტერესებულნი არიან უცხოეთში მოკლევადიანი პროფესიული ინტენსიური სწავლების პროგრამით. დიდ ბრიტანეთს, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ბიზნესისა და ფინანსების საერთაშორისო ცენტრს, აქვს დიდი სასწავლო და საკვლევო პოტენციალი.

სწავლებასთან ერთად ტური ითვალისწინებს ფართო საექსკურსიო პროგრამასაც.

**CLEAR WATER** ფინანსების, ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიასთან ერთად ოცზე მეტ სპეციალობაში გთავაზობთ სწავლების მოქნილი პროგრამის ფართო ასორტიმენტს ხელმისაწვდომ და სუბსიდირებულ ფასებში — 3500 ამერიკული დოლარი ერთ მსმენელზე. ღირებულებაში შედის: ლონდონში 10 დღიანი ყოფნა (მეცადინეობა და კულტურული პროგრამა), ავიაბილეთების ფასი, ცხოვრება და სასტუმროში სამჯერადი კვება, ვიზების გაფორმება, მგზავრების მთლიანი დაზღვევა და ლონდონში მთარგმნელის მომსახურება.

სწავლებაში ჩართულია ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობა, დიდი ბრიტანეთის წამყვანი საწარმოებისა და კომპანიების მონახულება. მათი მიზანია აჩვენონ, თუ რეალურად როგორ მუშაობენ დასავლეთისა და უწინარეს ყოვლისა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ორგანიზაციები.

სასწავლო ტური საერთაშორისო კონტაქტებისა და კოლეგებთან იდეების გაცვლის შესაძლებლობასაც იძლევა. ეს ტური განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც მოკლე ვადებში თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისკენ ისწრაფვის.

ცნობებისათვის დარეკეთ:

თბილისში — 93-16-08, ლონდონში — 480-35-16

# იტალია

## ვიჩენცა 2:1 იუვენტუსი

19 894 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, მენდესი, გროსი (ამერინი 80), ვივიანი, ბიორკლუნდი, ლოპესი, მ. როსი (დ იგნაციო 69), ლომბარდინი, მურჯიტა, მაიინი, ოტერო (ბელოტი 84)

იუვენტუსი: რამპულა, ტორიჩელი (ლომბარდო 46), პესოტო, ა. კონტე, ფერარა, კარერა, დი ლივიო, იუგოვიჩი, ვიალი, დელ პიერო (პერუცი 89), რავანელი

გოლი: ოტერო (18 პ), მურჯიტა (48), რავანელი (66)

გაფრთხილება: ლოპესი, როსი, გროსი, იუგოვიჩი

გაძევება: ლომბარდინი (82), რამპულა (89)

## მილანი 3:1 რომა

70 000 მაყურებელი

მილანი: ს. როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, დონადონი, ბობანი, ვეა, რ. ბაჯო (ერანიო 58), სავიჩევიჩი (დი კანიო 90)

რომა: ჩერვონე, ალდაირი, კარბონი, დი ბიაჯო, პეტრუცი, ლანა (ჯანინი 76), მორიერო, კაპიოლი, ტოტი, სტატუტო, დელვეკიო

გოლი: ვეა (6), მორიერო (7), სავიჩევიჩი (56), პანუჩი (86)

გაფრთხილება: სავიჩევიჩი, კოსტაკურტა, ჩერვონე, პეტრუცი, სტატუტო

## პიაჩენცა 1:0 ინტერი

15 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, როსინი, დი ფრანჩესკო, მაკოპი, ლუჩი, ტურინი, ა. კარბონე, კაჩა (მ. კონტე 49), კორინი, პიოვანი (კაპელინი 90)

ინტერი: პალიუკა, პისტონე (ორლანდინი 78), კარლოსი, ფრეზი, ფესტა (დელ ანო 69), მ. პაგანინი, ძანეტი, ინსი, ბრანკა, ბ. კარბონე, განცი (ფონტოლანი 67)

გოლი: ა. კარბონე (95)

გაფრთხილება: როსინი, ფრეზი, დელ ანო, ფონტოლანი, ინსი

გაძევება: ლუჩი (48)

41-ე წუთზე კაჩამ და 86-ე წუთზე ბრანკამ ვერ გაიტანეს პენალტები.

## ტორინო 2:0 პადოვა

20 000 მაყურებელი

ტორინო: კანიატო, ფალკონე, დალ კანტო, მილანეზე, მალტალიატი, კრაველო, ანგლომა, კრისტალინი, რიციტელი, ბერნარდინი, კარიჩი (მინაუდო 87)

პადოვა: ბონაიუტი, კუიჩი, გაბრიელი, ჯამპიეტრო (სკონციანო 73), ნავა (ვან უტრეხტი 46), როზა, კრეეკი (ფიორე 73), ნუნციატა, ამორუზო, ლონგი, ვლაოვიჩი

გოლი: რიციტელი (10), ანგლომა (59)

[illegible]

41-ე წუთზე რიციტელიმ ვერ გაიტანა პენალტი.

## პარმა 1:0 სამპდორია

26 000 მაყურებელი

პარმა: ბუჩი, მუსი, დი კიარა, სენსინი, აპოლონი, კანავარო, ბრამბილა, დ. ბაჯო (ბენარივო 80), სტოიჩკოვი (მელი 69), ძოლა, პინი

სამპდორია: პაგოტო, ბალერი, ევანი, მიხაილოვიჩი, საკეტი, ლამონიკა (ბერტარელი 77), კარემბო, ინვერნიცი, კიეზა, სალსანო, ზეედორფი (მანიერო 57)

გოლი: ლამონიკა (19, საკ. კარში)

გაფრთხილება: სტოიჩკოვი, ბაჯო, ზეედორფი

## ლაციო 4:3 ბარი

45 000 მაყურებელი

ლაციო: მარკეჯანი, ნესტა, ფავალი (ბერგოდი 74), დი მატეო, შაპოტი, ნეგრო, ბოკშიჩი (ესპოზიტო 89), ვინტერი (მარკოლინი 46), კაზირაგი, ფუზერი, სინიორი

ბარი: ფონტანა, მანიგეტი, მანგონე (ფი-[illegible]4), ქერსონი, სალა (რიპი 46), მონტანარი, გაუტიერი, ინგესონი, ანდერსონი, პედონე (პარენტე 55), პროტი

გოლი: პროტი (9 პ, 81 პ), სინიორი (22 პ, 27 პ, 30), ანდერსონი (64), ბოკშიჩი (79)

გაფრთხილება: მანგონე, ანდერსონი, პროტი

გაძევება: მონტანარი (85)

## კალიარი 0:0 ფიორენტინა

20 000 მაყურებელი

კალიარი: აბატე, პანკარო, პუშედუ, ვილა, ბონომი, ფირიკანო, ბიზოლი, სანა, სილვა (ლანტინიოტი 91), ვენტურინი, ოლივეირა

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, კოისი, პიაჩენტინი, ამორუზო, პადალინო, ბიჯიკა, შვარცი, ბატისტუტა, რუი კოშტა (რობიატი 77), ბაიანო (ბანკელი 73)

გაფრთხილება: ფირიკანო, კარნაშალი, ამორუზო, ბაიანო

## კრემონეზე 2:2 უდინეზე

5 100 მაყურებელი

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, ჯანდებიაჯი, ან. ორლანდო, გუალკო, ვერდელი, პეტრაკი, პეროვიჩი (კრისტიანი 77), ფლორიანჩიჩი, მასპერო, ტენტონი (ალოიზი 82)

უდინეზე: ბატისტინი, პელეგრინი (ბერტოტო 10), პელვეგი, ამეტრანო, კალორი, ბია, როსიტო, შალიმოვი, ბირპოფი, სტროპა (მატრეკანო 86), პოჯი (მარინო 91)

გოლი: პოჯი (12), ტენტონი (45), ბია (88 პ), ფლორიანჩიჩი (90)

გაფრთხილება: ორლანდო, ბია, პელეგრინი, შალიმოვი, პოჯი, ბატისტინი

## ნაპოლი 2:0 ატალანტა

გოლი: ბოლოსიანი (14), იმბრიანი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 20 | 12 | 7 | 1 | 32:13 | 43 |
| ფიორენტინა | 20 | 11 | 5 | 4 | 34:20 | 38 |
| პარმა | 20 | 10 | 8 | 2 | 31:17 | 38 |
| ლაციო | 20 | 9 | 5 | 6 | 40:24 | 32 |
| იუვენტუსი | 20 | 9 | 5 | 6 | 30:21 | 32 |
| ვიჩენცა | 20 | 7 | 8 | 5 | 20:18 | 29 |
| ნაპოლი | 20 | 7 | 8 | 5 | 22:21 | 29 |
| რომა | 20 | 7 | 7 | 6 | 25:21 | 28 |
| ინტერი | 20 | 6 | 8 | 6 | 24:18 | 26 |
| უდინეზე | 20 | 7 | 5 | 8 | 24:28 | 26 |
| სამპდორია | 20 | 6 | 7 | 7 | 29:30 | 25 |
| ატალანტა | 20 | 7 | 4 | 9 | 23:32 | 25 |
| კალიარი | 20 | 7 | 3 | 10 | 17:29 | 24 |
| პიაჩენცა | 20 | 6 | 4 | 10 | 21:36 | 22 |
| ტორინო | 20 | 4 | 9 | 7 | 21:31 | 21 |
| პადოვა | 20 | 5 | 3 | 12 | 22:33 | 18 |
| ბარი | 20 | 4 | 5 | 11 | 30:44 | 17 |
| კრემონეზე | 20 | 2 | 7 | 11 | 23:32 | 13 |

### სერია B

22-ე ტური. ანკონა — ფოჯა 3:0; აველინო — ფანდრია 2:1; ბოლონია — სალერნიტანა 0:0; ბრეშია — ლუკეზე 1:1; კიევო — რეჯინა 2:0; კოზენცა — ვერონა 1:2; პალერმო — პესკარა 1:1; პერუჯა — რეჯანა 2:1; პისტოიზე — ჯენოა 0:0; ვენეცია — ჩეზენა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეზენა | 22 | 9 | 7 | 6 | 29:20 | 34 |
| ვერონა | 22 | 9 | 7 | 6 | 24:20 | 34 |
| პესკარა | 22 | 9 | 6 | 7 | 28:28 | 33 |
| ანკონა | 21 | 10 | 2 | 9 | 32:26 | 32 |
| პერუჯა | 22 | 8 | 8 | 6 | 27:23 | 32 |
| ბოლონია | 22 | 7 | 11 | 4 | 19:15 | 32 |
| რეჯანა | 22 | 8 | 7 | 7 | 21:21 | 31 |
| ჯენოა | 22 | 8 | 6 | 8 | 34:31 | 30 |
| პალერმო | 22 | 6 | 12 | 4 | 16:17 | 30 |
| ვენეცია | 22 | 7 | 9 | 6 | 18:20 | 30 |
| კოზენცა | 22 | 6 | 11 | 5 | 25:23 | 29 |
| ბრეშია | 22 | 7 | 6 | 9 | 27:24 | 27 |
| სალერნიტანა | 22 | 6 | 9 | 7 | 19:17 | 27 |
| ფანდრია | 22 | 6 | 8 | 8 | 24:25 | 26 |
| ლუკეზე | 21 | 5 | 11 | 5 | 19:22 | 26 |
| აველინო | 22 | 7 | 5 | 10 | 24:30 | 26 |
| ფოჯა | 22 | 6 | 8 | 8 | 17:24 | 26 |
| რეჯინა | 21 | 6 | 8 | 7 | 21:29 | 26 |
| კიევო | 22 | 4 | 13 | 5 | 19:19 | 25 |
| პისტოიზე | 21 | 3 | 8 | 10 | 18:27 | 17 |


## საფეხბურთო ტოტალიზატორი
## ლაკლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი №17 (10-12 თებერვალი)

| | |
|---|---|
| 1. ატალანტა — მილანი | იტალიის ჩემპიონატი |
| 2. იუვენტუსი — კალიარი | იტალიის ჩემპიონატი |
| 3. ფიორენტინა — პარმა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4. ინტერი — ნაპოლი | იტალიის ჩემპიონატი |
| 5. ატლეტიკო — სევილია | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6. ბარსელონა — რეალი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7. რასინგი — ესპანიოლი | ესპანეთის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 10 თებერვალს.

მე-15 ტირაჟის შედეგები

1. 0-2 2. 2-0 3. 1-1 4. 4-2 5. 4-1 6. 3-1 7. 1-2

მოგებები: ხუთი მატჩი — 42 ლარი (5 ვარიანტი). ექვსი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 1500 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 2060 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, ახმეტელი, სამგორი. ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგებები გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მე-3 სართ. ფირმა „ესკიზი“ (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

ტირაჟების ანონსი ქვეყნდება აგრეთვე გაზეთებში: „საქმოსანი“, „7 დღე“.


# შავი კონტინენტის შავი ჩემპიონები

### აფრიკის ჩემპიონატი

A ჯგუფი

სამხრეთი აფრიკა — კამერუნი 3:0, ანგოლა — ეგვიპტე 1:2, კამერუნი — ეგვიპტე 2:1, სამხრეთი აფრიკა — ანგოლა 1:0, სამხრეთი აფრიკა — ეგვიპტე 0:1, ანგოლა — კამერუნი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრ. აფრიკა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-1 | 6 |
| ეგვიპტე | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| კამერუნი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-7 | 4 |
| ანგოლა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

B ჯგუფი

ალჟირი — ზამბია 0:0, ბურკინა ფასო — სიერა ლეონე 1:2, ალჟირი — სიერა ლეონე 2:0, ბურკინა ფასო — ზამბია 1:5, სიერა ლეონე — ზამბია 0:4, ალჟირი — ბურკინა ფასო 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზამბია | 3 | 2 | 1 | 0 | 9-1 | 7 |
| ალჟირი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| სიერა ლეონე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-7 | 3 |
| ბურკინა ფასო | 3 | 0 | 0 | 3 | 3-9 | 0 |

C ჯგუფი

გაბონი — ლიბერია 1:2, გაბონი — ზაირი 2:0, ლიბერია — ზაირი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაბონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| ზაირი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| ლიბერია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |

D ჯგუფი

კოტ დივუარი — განა 0:2, მოზამბიკი — ტუნისი 1:1, განა — ტუნისი 2:1, კოტ დივუარი — მოზამბიკი 1:0, კოტ დივუარი — ტუნისი 1:3, განა — მოზამბიკი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| ტუნისი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| კოტ დივუარი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| მოზამბიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

მეოთხედფინალები

სამხრეთი აფრიკა — ალჟირი 2:1
ზამბია — ეგვიპტე 3:1
გაბონი — ტუნისი 1:1 (პ 1:4)
ზაირი — განა 0:1

ნახევარფინალები

ტუნისი — ზამბია 4:2
სამხრეთი აფრიკა — განა 3:0

მესამე ადგილისთვის

ზამბია — განა 1:0

ფინალი

სამხრეთი აფრიკა — ტუნისი 2:0

80-ათასიანი პირველი ეროვნული ბანკის სტადიონი, რომელსაც სხვაგვარად „სოკერ სიტის“ უწოდებენ, იოჰანესბურგის გარეუბან სოუეტოში მდებარეობს. აქ შაბათს, 3 თებერთვალს გაიმართა აფრიკის ჩემპიონატის ფინალი. სამხრეთი აფრიკა — ტუნისი, ძირითადად ზანგები ძირითადად თეთრებს შეხვდნენ. სამხრეთაფრიკელმა პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ, როგორც სჩვევია, თავისი ქვეყნის ნაკრების „ბაფანა-ბაფანას“ ფორმა ჩაიცვა (მოთამაშენილ თოვის მაისური მოირგო პრეზიდენტმა) და ჯერ ბიჭებს ვარჯიშზე ეწვია, შემდეგ თამაშზეც გამოცხადდა. შეხვედრა თანაბრად მიმდინარეობდა, გოლი ვერც ერთ მხარეს ჰქონდა და ყველას ეგონა, საქმე დამატებით დრომდე მივაო, მაგრამ აქ მასპინძელთა გუნდში ფილიმონ მასინგას ნაცვლად მარკ ვილიამსი შეიყვანეს. ვილიამსმა, რომელიც ჩემპიონატის პირველ მატჩებში სასტარტო შემადგენლობაში ჰყავდათ, ამ დღეს კი რატომღაც თადარიგში განაწესეს, ორ წუთში ორჯერ შეაგდო და შავი კონტინენტის ჩემპიონიც გამოავლინა — 2:0. თამაშის გმირი ინგლისის „ვულვერჰემპტონში“ გამოდის.

მატჩის შემდეგ იოჰანესბურგში დიდი ზეიმი გაიმართა. როგორც აღნიშნეს, ამ გამარჯვებას სამხრეთაფრიკელი ხალხის გამთლიანებაში უფრო დიდი წვლილი შეუტანია, ვიდრე შარშან ზაფხულს მსოფლიოს თასზე მორაგბეთა წარმატებას. მიზეზი ის გახლავთ, რომ ფეხბურთი ყველა ფერის კანიანთა საყვარელი თამაშია (მეტადრე ზანგების), რაგბი კი უპირატესად თეთრების.

საოცარია, სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა პირველად მიიღო მონაწილეობა კონტინენტის პირველობაზე და ჩემპიონიც გახდა.

და მაინც, იმან, რომ ნიგერია არ დაუშვეს, ბევრს ეჭვი გაუჩინა, არის კი ჩემპიონი ნამდვილად ღირსეული? ნიგერიელები პოლიტიკას ემსხვერპლნენ და ახლა კაფ-მა ამ ქვეყანას 4-წლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. აფრიკული ფეხბურთის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ მათ სასჯელს ფიფაც შეეხმიანება და ნიგერიას მსოფლიოს ჩემპიონატზეც არ მიუშვებს.

მესამე ადგილისთვის განა და ზამბია შეიბნენ. ასეთი რამ არ გენახოთ. განელები, რომელთაც აღარც იებოა ჰყავდათ და არც აბედი პელე, ექვსჯერ (!) შევიდნენ მეტოქის მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ვერ გაიტანეს. ზამბიელებმა კი ერთხელ დაარტყეს და შეაგდეს. ასე, ოცდაათი მეტრიდან ლამაზი გოლი ჯოელ ბვალიამ 52-ე წუთზე გაიტანა. ერთი ხნის შემდეგ მსაჯმა ზამბიელი ჯონ ლუნგუ გააძევა, მაგრამ ამა-[illegible]

### აფრიკის თასის რეკორდები

ბომბარდირები (ფინალურ ეტაპზე გატანილი გოლები)

14 — ლორენ პოკუ (კოტ დივუარი) 1968, 1990
13 — რაშიდი იეკინი (ნიგერია) 1988, 1990, 1992, 1994
12 — ელ ჩაზლი (ეგვიპტე) 1963, 1970, 1974

ერთი ჩემპიონატის ბომბარდირი

9 — მულამბა ნდაიე (ზაირი) 1974

ფინალურ ეტაპზე ყველაზე მეტი გოლი

54 — ეგვიპტეში 1974 წელს (საშუალოდ 3,2 ერთ თამაშში)

ერთ თამაშში ყველაზე მეტი გოლი

10 — ნიგერია—განა 1:9. 1970
9 — ეგვიპტე—ნიგერია 6:3. 1963

დიდი გამარჯვებები

ნიგერი — განა 1:9. 1970
კოტ დივუარი — ეთიოპია 6:1. 1970

უსწრაფესი გოლები

23 წამი — იამან მანსუ (ეგვიპტე — გაბონი. 1994)
50 წამი — მუსტაფა ფეტუი (მაროკო — სუდანი 1976)

პირველი გოლი

1957 წლის 10 თებერვალი — ეგვიპტელმა რააფატმა 21-ე წუთზე გაუტანა სუდანს.

ყველაზე ახალგაზრდა მონაწილენი

მუჰამედ კალონი (სიერა ლეონე) — 16 წლის 3 თვის და 9 დღის (1996)
დანიელ ამოკაში (ნიგერია) — 17 წლის 2 თვის (1990)
იუსუფ ფოფანა (კოტ დივუარი) — 17 წლის 8 თვის და 8 დღის (1984)

ყველაზე მეტი მატჩი

მუდა ლავალი (ნიგერია) — 26 თამაში (1976, 78, 80, 82, 84, 86)
ემანუელ კუნდე (კამერუნი) — 25 თამაში (1982, 84, 86, 88, 90, 92)

### აფრიკის ეროვნებათა თასის ოციევე გათამაშება

| | მასპინძელი | I | II | III |
|---|---|---|---|---|
| 1957 | სუდანი | ეგვიპტე | ეთიოპია | სუდანი |
| 1959 | ეგვიპტე | ეგვიპტე | სუდანი | ეთიოპია |
| 1962 | ეთიოპია | ეთიოპია | ეგვიპტე | ტუნისი |
| 1963 | განა | განა | სუდანი | ეგვიპტე |
| 1965 | ტუნისი | განა | ტუნისი | კოტ დივუარი |
| 1968 | ეთიოპია | ზაირი | განა | ეთიოპია |
| 1970 | სუდანი | სუდანი | განა | ეგვიპტე |
| 1972 | კამერუნი | კონკო | მალი | კამერუნი |
| 1974 | ეგვიპტე | ზაირი | ზამბია | ეგვიპტე |
| 1976 | ეთიოპია | მაროკო | გვინეა | ნიგერია |
| 1978 | განა | განა | უგანდა | ნიგერია |
| 1980 | ნიგერია | ნიგერია | ალჟირი | მაროკო |
| 1982 | ლიბია | განა | ლივია | ზამბია |
| 1984 | კოტ დივუარი | კამერუნი | ნიგერია | ალჟირი |
| 1986 | ეგვიპტე | ეგვიპტე | კამერუნი | კოტ დივუარი |
| 1988 | მაროკო | კამერუნი | ნიგერია | ალჟირი |
| 1990 | ალჟირი | ალჟირი | ნიგერია | ზამბია |
| 1992 | სენეგალი | კოტ დივუარი | განა | ნიგერია |
| 1994 | ტუნისი | ნიგერია | ზამბია | კოტ დივუარი |
| 1996 | სამხრ. აფრიკა | სამხრეთი აფრიკა | ტუნისი | ზამბია |

# ინგლისი

25-ე ტური. არსენალი — ქოვენთრი 1:1; ასტონ ვილა — ლიდსი 3:0; ბლექბერნი — ბოლტონი 3:1; ლივერპული — ტოტენჰემი 0:0; მანჩესტერ სიტი — ქუინზ პარკ რეინჯერსი 2:0; ნიუკასლი — შეფილდი 2:0; საუთჰემპტონი — ევერტონი 2:2; ვესტ ჰემი — ნოტინგემი 1:0; უიმბლდონი — მანჩესტერ იუნაიტ 2:4; ჩელსი — მიდლსბრო 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 24 | 18 | 3 | 3 | 47:19 | 57 |
| მანჩესტერ იუნ. | 25 | 14 | 6 | 5 | 47:30 | 48 |
| ლივერპული | 25 | 13 | 7 | 5 | 48:21 | 46 |
| ასტონ ვილა | 24 | 12 | 6 | 6 | 33:19 | 42 |
| ტოტენჰემი | 25 | 11 | 9 | 5 | 33:24 | 42 |
| ბლექბერნი | 25 | 12 | 5 | 8 | 40:27 | 41 |
| ნოტინგემი | 25 | 10 | 10 | 5 | 35:34 | 40 |
| ჩელსი | 25 | 10 | 9 | 6 | 30:25 | 39 |
| არსენალი | 25 | 10 | 8 | 7 | 33:25 | 38 |
| ევერტონი | 25 | 10 | 7 | 8 | 37:28 | 37 |
| ლიდსი | 25 | 10 | 5 | 10 | 31:37 | 35 |
| მიდლსბრო | 25 | 9 | 6 | 10 | 26:31 | 33 |
| ვესტ ჰემი | 24 | 8 | 5 | 11 | 26:35 | 29 |
| შეფილდი | 24 | 6 | 8 | 10 | 33:38 | 26 |
| საუთჰემპტონი | 25 | 5 | 10 | 10 | 25:36 | 25 |
| უიმბლდონი | 25 | 6 | 6 | 13 | 35:50 | 24 |
| მანჩესტერ სიტი | 25 | 6 | 6 | 13 | 16:34 | 24 |
| ქოვენთრი | 25 | 4 | 9 | 12 | 32:49 | 21 |
| ქუინზ პარკი | 25 | 5 | 3 | 17 | 18:38 | 18 |
| ბოლტონი | 25 | 3 | 4 | 18 | 24:49 | 13 |

# ესპანეთი

25-ე ტური. ატლეტიკო — ოვიედო 0:1; რეალი — ბეტისი 4:2; რაიო ვალეკანო — ბარსელონა 1:1; სარაგოსა — ვალენსია 4:1; მერიდა — კომპოსტელა 0:2; ვალიადოლიდი — სალამანკა 1:0; დეპორტივო — ტენერიფე 1:1; სელტა — ალბასეტე 2:2; ესპანიოლი — სოსიედადი 0:0; სევილია — სანტანდერი 0:1; ხიხონი — ატლეტიკო 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 25 | 18 | 4 | 3 | 47:13 | 58 |
| ბარსელონა | 25 | 13 | 8 | 4 | 45:21 | 47 |
| ესპანიოლი | 25 | 13 | 8 | 4 | 35:18 | 47 |
| კომპოსტელა | 25 | 14 | 4 | 7 | 33:28 | 46 |
| ვალენსია | 25 | 14 | 3 | 8 | 46:34 | 45 |
| რეალი | 25 | 12 | 6 | 7 | 49:34 | 42 |
| დეპორტივო | 25 | 11 | 6 | 8 | 43:21 | 39 |
| ტენერიფე | 25 | 10 | 9 | 6 | 42:36 | 39 |
| ბეტისი | 25 | 9 | 11 | 5 | 35:29 | 38 |
| სოსიედადი | 25 | 9 | 7 | 9 | 31:34 | 34 |
| სელტა | 25 | 8 | 8 | 9 | 26:29 | 32 |
| სარაგოსა | 25 | 7 | 8 | 10 | 27:34 | 29 |
| ატლეტიკი | 25 | 7 | 8 | 10 | 27:36 | 29 |
| ოვიედო | 25 | 7 | 8 | 10 | 26:35 | 29 |
| ხიხონი | 25 | 8 | 4 | 13 | 32:35 | 28 |
| სანტანდერი | 25 | 6 | 8 | 11 | 26:43 | 26 |
| რაიო ვალეკანო | 25 | 6 | 7 | 12 | 27:42 | 25 |
| ალბასეტე | 25 | 5 | 9 | 11 | 36:49 | 24 |
| მერიდა | 25 | 4 | 11 | 10 | 19:34 | 23 |
| სევილია | 25 | 5 | 8 | 12 | 23:39 | 23 |
| სალამანკა | 25 | 5 | 7 | 13 | 35:44 | 22 |
| ვალიადოლიდი | 25 | 4 | 8 | 13 | 30:46 | 20 |

## მსოფლიო ჩემპიონატის VIII ევროპული შესარჩევი ჯგუფის განრიგი

1996

24 აპრილი
მაკედონია — ლიხტენშტეინი
1 ივნისი
ისლანდია — მაკედონია
31 აგვისტო
ლიხტენშტეინი — ირლანდია
რუმინეთი — ლიტვა
5 ოქტომბერი
ლიტვა — ისლანდია
9 ოქტომბერი
ისლანდია — რუმინეთი
ირლანდია — მაკედონია
ლიტვა — ლიხტენშტეინი
9 ნოემბერი
ლიხტენშტეინი — მაკედონია
10 ნოემბერი
ირლანდია — ისლანდია
14 დეკემბერი
მაკედონია — რუმინეთი

1997

29 მარტი
რუმინეთი — ლიხტენშტეინი
2 აპრილი
ლიტვა — რუმინეთი
მაკედონია — ირლანდია
30 აპრილი
რუმინეთი — ირლანდია
ლიხტენშტეინი — ლიტვა
7 ივნისი
ირლანდია — ლიხტენშტეინი
მაკედონია — ისლანდია
11 ივნისი
ისლანდია — ლიტვა
19 აგვისტო
ლიხტენშტეინი — ისლანდია
20 აგვისტო
ირლანდია — ლიტვა
რუმინეთი — მაკედონია
6 სექტემბერი
ლიხტენშტეინი — რუმინეთი
ისლანდია — ირლანდია
ლიტვა — მაკედონია
10 სექტემბერი
რუმინეთი — ისლანდია
ლიტვა — ირლანდია
11 ოქტომბერი
ირლანდია — რუმინეთი
ისლანდია — ლიხტენშტეინი
მაკედონია — ლიტვა

...ვეკი, ვრეკე... თბილისიდან ათენში ჩასვლა უფრო ადვილია, ვიდრე დარეკვა-მეთქი, ბოლოს ესლა გავიფიქრე. ისევ თემურ ქეცბაიას ოჯახს მივმართე თბილისში და ისინიც შემპირდნენ, თემურს თვითონ დავარეკინებთ შენთანო...

ქეცბაიებმა, როგორც ყოველთვის, პირობა შეასრულეს და ერთ ცივ და ბნელ თბილისურ საღამოს თითქოს წარმოუდგენელი მოხდა — თემურმა დამირეკა.

# ლინდა ქეცბაია ფეხბურთს არ ითამაშებს




— მითხარი, რა ხდება ახალი: როგორ ხართ, როგორ არიან ბიჭები... სულ რაღაც წამებში კითხვების კორიანტელი დააყენა თემურმა...

— ვიდრე ყველაფერს გეტყოდე, მანამდე ფეხბურთის ყველა გულშემატკივრის და იმ ახლობლების სახელით, რომლებიც ვერ გიკავშირდებიან, გილოცავთ შენ და კატარინას გოგონას შეძენას.

— გმადლობთ. ლინდა 12 იანვარს დაიბადა, პატარა, 2 და 500. ყველა მშობელს უყვარს თავისი პირმშო, მაგრამ ლინდა განსაკუთრებულია.

— ლინდას განსაკუთრებულობაზე სახელიც მეტყველებს. რატომ დაარქვი მაინცდამაინც ეს სახელი?

— სახელის შერჩევა მთლიანად ჩემს მეუღლეს კატარინას მივანდე. სახელი ლინდა ბერძნულ მითოლოგიას უკავშირდება. თურმე ჩემი მეუღლე, რაოდენ ბანალურიც უნდა იყოს, ბავშვობიდან ოცნებობდა, თუ გოგონა შეეძინებოდა, ლინდა დაერქმია. კატარინა ხომ ბერძენია...

— მამის როლში თავს როგორ გრძნობ?

— რა ვიცი, მგონი, ჩვეულებრივი მამა ვარ. ჯერ-ჯერობით არ ვეძებ ზედმეტ ბალიშს და არც სადმე სხვა ოთახში ვიკეტები, რომ ბავშვის ტირილი არ გავიგო...

— ?!

— გამიგია, სხვები ასე შველიან თავსო. ლინდა ჭკვიანი გოგონაა. ჯერჯერობით არ გვაბრაზებს არც მე და არც დედას. თუ ასე გაგრძელდა...

— ხშირად შვილის მომავალ კარიერაზე გავლენას მშობლები ახდენენ; ბევრი ჩვენი მეგობარი ფეხბურთელისგან მსმენია, ჩემი შვილი (თუ ის ვაჟია) აუცილებლად ფეხბურთელი გამოვაო...

— მერე რა იქნება არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ლინდა ფეხბურთს არ ითამაშებს.

— გეთანხმები, ლინდა ფეხბურთს არ ითამაშებს, მაგრამ ფეხბურთს ძირსად გავიქცევით. როგორ ფორმაშია ლინდას მამა?



თემური და მისი მეუღლე კატარინა

— ტრავმების შემდეგ ნელ-ნელა ჩვეულ ფორმაში და, წარმოიდგინე, ამპლუაშიც შევდივარ... თუ ლინდას გარდა ესეც გაინტერესებს, ცოტას მოგიყვები... პირველი წრე ცოტა ხნის წინ დამთავრდა. მე შვიდი გოლი გავიტანე და საბერძნეთის ჩემპიონატის I წრის საუკეთესო მოთამაშედაც დამასახელეს. ათენის „აეკი“ ჩემპიონატში მეორე ადგილზეა „პანათინაიკოსის“ შემდეგ. ამ „პანათინაიკოსს“ ვერსად გავექეცით, თასის გათამაშების მერვედფინალშიც მას ვეთამაშებით...

— თემურ, ისე როგორ იქნება, არ გკითხო აზრი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის შესახებ...

— აბა რა გითხრა, ჩვენთვის არც წინა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის კენჭისყრა გამოდგა თითქოს უბრალო და იღბლიანი. სწავლა სიბერემდეო, მაგრამ ჩვენს თაობას დრო აღარ რჩება...

— სხვათა შორის, კენჭისყრისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჩივაძემ აღნიშნა, რომ ქეცბაიას, კუდინოვს, გოგიჩაიშვილს მსოფლიო-98-ზე თავის გამოჩენის ბოლო შანსი აქვთო...

— აი, ხომ ხედავ... ევროპამ დაგვანახა, რა შეგვიძლია, თუ მოვინდომეთ და არ დავიბენით. თანამედროვე ფეხბურთში არ არსებობს დიდი და პატარა, სუსტი და ძლიერი, უნდა მოინდომო და ისე გამოხვიდე მოედანზე. შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ქვეჯგუფი მართლაც ყველაზე ძლიერია. მეორე მხრივ, აბა სხვა ქვეჯგუფებში რას ფიქრობენ?...

— ნაკრების ზოგიერთი წევრის შიშმა იტალიის და ინგლისის წინაშე ცოტა დაგვაფიქრა.

— შეშინება და ხელის ჩაქნევა ვერაფერს შეგვმატებს. ჩვენ სრული ძალით უნდა ვითამაშოთ. გითხარი, არც წინა ჯგუფი იყო ადვილი — გერმანია, უელსი, ბულგარეთი... მაგრამ რაღაც ხომ შევძელით.

— მოლდოვა?

— ისე, რა ბედის დაცინვაა, არა? ახლა აუცილებლად მოვუგებთ. მთავარია, ოქტომბრისთვის ნაკრების ყველა წევრი ჯანზე იყოს. ეს ტრავმები ძალიან ცუდ საქმეს გვმართებს. თუ ისინი ავიცილეთ, ყველანაირად ვეცდებით, ჯგუფში მეორე ადგილი დავიკავოთ.

— ესე იგი შენ ამბობ, რომ...

— მე არაფერს ვამბობ, უბრალოდ, უნდა ვიბრძოლოთ მეორე ადგილისათვის.

— მაშინ ვინ იქნება პირველი?

— მოდი რა, ცოტა ხანი ჟურნალისტი მე ვიქნები, მეც ხომ მაინტერესებს რა ხდება თქვენთან, „დინამოში“, გოგიჩას ბავშვი ხომ არ შესძენია, შელიამ ვარჯიში დაიწყო, გია და მიშა ჯიშკარიანები როგორ არიან...

...აქედან მოყოლებული საკმაო ხანი ჟურნალისტი თემურ ქეცბაია იყო, მოპასუხე კი მე. ბოლოს, როგორც იქნა...

— თემურ, თბილისში, როდის ჩამოხვალ?

— ჯერჯერობით ყოველ შაბათ-კვირას თამაშები მაქვს. ალბათ სეზონი რომ დამთავრდება, ოჯახთან ერთად თბილისში ჩამოვალ...

თამუნა ჯიშკარიანი



# კომენტირებული ინფორმაცია არცთუ უწყინარი რეპლიკით

## კირსანს დაევალა ორი „კ“-ს პრობლემის [illegible]

ფიდეს ახალი თავკაცი, ყალმუხეთის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი მეტად ენერგიულად შეუდგა თავისი საპატიო მისიის შესრულებას. ეგაა ოღონდ, ჯერჯერობით მისი სამოქმედო რადიუსი უპირატესად მშობლიური „დერჟავის“, რუსეთის ფარგლებით ისაზღვრება. საქმე ის არის, რომ იანვრის მიწურულს მოსკოვში ილუმჟინოვი საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის რანგში შეხვდა თავისი ქვეყნის პრეზიდენტს ბორის ელცინს. ჩვეულებისამებრ აღვლენილი ხოტბა-დიდების შემდეგ მან კრემლის მასპინძელს ჯერ ფიდეს საპატიო წევრის რწმუნების სიგელი გადასცა, შემდეგ კი ბრილიანტებით მოოჭვილი სპეციალური სამკერდე ნიშანი უსახსოვრა. კირსანმა დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ ფიდეს ეს ნიშანი ეძლევა მხოლოდ იმ სახელმწიფოს მეთაურს, რომელსაც დიდი დამსახურება ექნება ჭადრაკის განვითარების საქმეში. ელცინს მან ამგვარ დამსახურებად ჩაუთვალა ორი ფაქტი — პირველი; მსოფლიოს ორივე ჩემპიონის: გარი კასპაროვის (პროფესიონალთა ასოციაცის ვერსიით) და ანატოლი კარპოვის (ფიდეს ვერსიით) რუსეთის მოქალაქეობა და მეორე: ფიდეს ისტორიაში პირველად მის პრეზიდენტად რუსეთის მოქალაქის გახდომა.

კაცმა რომ თქვას, ვერაფერს იტყვი. ქვას გახეთქავს, ისეთი მტკიცებულებებია, მაგრამ...

მაგრამ არის ერთი დეტალი, რომლის შეუნიშნაობა ჩვენგან, ქართველი კომენტატორისგან არაფრით ეგების. თუ ფიდეში ეს წესი წინათაც მოქმედებდა, მაშინ ვილაცას ხომ უნდა გახსენებოდა, რომ დიდ საჭადრაკო „დერჟავებს“ შორის საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მიიღო სპეციალური დეკრეტი ჭადრაკის პერმანენტული განვითარებისა და ქვეყანაში საჭადრაკო ცხოვრების შემდგომი ხელშეწყობის შესახებ. მხედველობაში მაქვს ის დეკრეტი, რომელიც 1995 წელს გამოსცა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. თუ არ ვცდები, იგი ფიდეს ყოფილი ხელმძღვანელობისთვის კარგად იყო ცნობილი. ეს ერთი,ახლა მეორეც- მსოფლიოს რომ ორი ჩემპიონი ჰყავს და ორივე რუსეთის მოქალაქეა, ეს ბედის ირონიაა და მეტი არაფერი. სწორედ ფიდეს უთაობაა ამის მიზეზი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს განხეთქილება კარპოვსა და კასპაროვს შორის არ მოხდებოდა. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონი (გნებავთ,ორი) საქართველოსაც გვყავს, თანაც ორივე ქართველი.

მოკლედ, გამგები გაიგებს. მე ჩემი ვთქვი. თუ ფიდეს ახალი პრეზიდენტი ობიექტური მონაცემებით ისარგებლებს, მაშინ საქართველოც უნდა მოექცეს მისი მაღალი ყურადღების არეალში, თუ არადა...

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, სურვილის დონეზეა.ფაქტი ერთია-კირსან ილუმჟინოვი შეხვდა პრეზიდენტ ელცინს, შეხვედრის დასასრულს მიართვა მას ხელით ნაკეთები ინდური ანტიკვარული ჭადრაკი და ურჩია,მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ჭადრაკზე გადმორთულიყო. რუსეთის პრეზიდენტი დიდსულოვნად შეჰპირდა, რომ შეისმენდა ახალგაზრდა „კოლეგის“ რჩევას და თავის მხრივ უუსწორესი ამოცანა დაუსახა გადასაჭრელად — კირსანი უნდა შეებას ორი „კ“-ს, კარპოვ — კასპაროვის დღემდე მოუგვარებელ პრობლემას და უმოკლეს დროში „დააშამათოს“ იგი.

გიგლა გოგეჩია

# შეინარჩუნებს ჩინელი ტიტულს?

**ესპანეთში დაიწყო ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩი ჩინელ მსოფლიო ჩემპიონ სე ძუნსა და უნგრელ პრეტენდენტ ჟუჟა პოლგარს შორის. მეტოქეებმა 16 პარტიაში უნდა გაარკვიონ უძლიერესის ვინაობა. ის, ვინც ადრე დააგროვებს 8,5 ქულას, ჩემპიონად გამოცხადდება. ყაიმის (8:8) შემთხვევაში სე ძუნი ჩემპიონად დარჩება.**

**პირველი პარტია მე-60 სვლაზე მოიგო სე ძუნმა.**



ჟუჟა პოლგარი და სე ძუნი

ეს მატჩი პირველია 1962 წლიდან, რომელშიც არ მონაწილეობს ქართველი დიდოსტატი. მოგეხსენებათ, 1962-1991 წლებში ჭადრაკის დედოფალის კვერთხი ეპყრათ ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძეს. უკვე მეხუთე წელია მას ფლობს 25 წლის სე ძუნი, რომელმაც 1991 წელს სძლია მაია ჩიბურდანიძეს (8,5:6,5), 1993 წელს კი ნანა იოსელიანს (8,5:2,5).

ჩინელი ჩემპიონი ახალ პრეტენდენტს ხვდება. 26 წლის ჟუჟა პოლგარი პირველად უტევს ჭადრაკის ოლიმპს. ამის უფლება მან მოიპოვა პრეტენდენტებთან მძაფრ ბრძოლაში. ჯერ I-II ადგილები გაიყო მაია ჩიბურდანიძესთან პრეტენდენტთა ტურნირში, მერე დამატებითი მატჩი მოუგო მაიას — 5,5:1,5.

სე ძუნი და ჟუჟა პოლგარი ღირსეული მეტოქენი არიან. ორივე საერთაშორისო დიდოსტატია ქალთა და ვაჟთა შორის. გამოცდილებაც საკმაო აქვთ, თუმცა ჩინელი უფრო გაწვრთნილია მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. ისინი ადრეც ყოფილან მეტოქენი. მათი ბოლო შეხვედრა 1994 წელს მოსკოვში, ქალთა XVI საჭადრაკო ოლიმპიადაზე ყაიმით დასრულდა.

ცხადია, დიდოსტატები საგულდაგულოდ ემზადებოდნენ საბრძოლველად. ჩინელის მზადება ახლაც იდუმალებით იყო მოცული. არავინ იცის, ვინ და სად ამზადებდა მას. ვიცით მხოლოდ, რომ შარშან შემოდგომაზე ჩინეთში იგი მინი-მატჩში შეხვდა დიდოსტატ ვიქტორ კორჩნოის. პირველი ორი პარტია ქალთა ჩემპიონმა ყაიმით დაამთავრა, მომდევნო ორი — წააგო.

ჟუჟა პოლგარს მზადებაში ეხმარებოდნენ მისი სახელგანთქმული და, დიდოსტატი იუდით პოლგარი და წარსულში საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, დიდოსტატი ლევ ფსახისი, რომელიც ახლა ისრაელში ცხოვრობს.

მართალია, პროგნოზების გაკეთება უმადური საქმეა, მაგრამ გულშემატკივრებს მაინც სიამოვნებთ, წინასწარ იცოდნენ, რაა მოსალოდნელი. ამ შემთხვევაშიც საინტერესოა, რას ფიქრობენ საქმის მცოდნენი.

მაია ჩიბურდანიძის თქმით, სე ძუნი შეძლებს ტიტულის შენარჩუნებას, თუმცა ორთაბრძოლა უაღრესად მძაფრი იქნება. ნანა იოსელიანის აზრით, ჟუჟას ძალიან გაუჭირდება სე ძუნთან თამაში. ჩინელი დიდ შინაგან ძალას ფლობს, დაჯერებულია თავის შესაძლებლობებში და, რაც მთავარია, მას ბრძენი მრჩევლები ჰყავს.

სე ძუნ — ჟუჟა პოლგარის ორთაბრძოლა მართლაც ბევრ საინტერესოს გვპირდება.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი

## «შევარდენმა» სახელი დაიბრუნა

1 თებერვალს „შევარდენის“ სტადიონზე მზადებას შეუდგა „შევარდენი-1906“. ამიერიდან გუნდი კვლავ ამ უძველესი სახელით იასპარეზებს.

## ქართლი ახალგაზრდა ივერიელებს და ძველ გორელებს გამოიყვანს

დიდი სჯა-ბაასისა და დავიდარების შემდეგ საბოლოოდ გაირკვა ხაშურის „ივერიას“ ბედი. ხაშურს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში აუცილებლად ეყოლება გუნდი, ოღონდ გაახალგაზრდავებული. „ივერია“ ჯერჯერობით მთავარი მწვრთნელის გარეშე იასპარეზებს — მერაბ კოჭლაშვილმა მოთამაშეებისთვის მიცემული სიტყვა კაცურად შეასრულა. შეგახსენებთ, რომ მან ახლახან განგვიცხადა, თუ ბიჭებს დანაპირებს არ შეუსრულებენ და აიძულებენ მშივრებმა ითამაშონ, გუნდს სიტყვის უთქმელად დავტოვებო. ფეხბურთელებს არა მარტო დაპირებული, არამედ კარგა ხნის კუთვნილი ხელფასებიც არ მიუღიათ მთლიანად. კოჭლაშვილიც უხმაუროდ წამოვიდა, თუმცა იმაზე ძალიან სწყდებოდა გული, რომ ოთხთვიანი საქმიანობა, რომელსაც იოლს ნამდვილად ვერ დავარქმევთ, წყალში ჩაეყარა. ფეხბურთელებსაც მოსწყინდათ ამდენი ლოდინი, მთავარ მწვრთნელს სოლიდარობა გამოუცხადეს და ერთიმეორის მიყოლებით წამოვიდნენ ხაშურიდან. აქ, რა თქმა უნდა, გუნდის გასაძლიერებლად მიწვეული ფეხბურთელები იგულისხმება, უმათოდ კი „ივერიას“, რა მტკიცება უნდა, ძალიან გაუჭირდება. მხოლოდ ერთ რამეზე არ დასჭირვებიათ წამოსულ ფეხბურთელებს ომის გადახდა — ეს გახლავთ გუნდიდან განთავისუფლების ქაღალდი, რომელიც გუნდის უფროსმა თბილისში ჩამოურიგა მათ. ამ ბიჭების ბედზე არავინ დაფიქრებულა. მათ ჩვენში შესაძლო ვარიანტად მხოლოდ დაბალ ლიგაში თამაში რჩებათ, რადგან დებულების თანახმად პირველი ჯგუფის გუნდებში ვერანაირად გადავლენ. უარეს დღეშია „ივერიას“ აწ უკვე მწვრთნელყოფილი მერაბ კოჭლაშვილი — იგი ალბათ სეზონის ბოლომდე იქნება უმუშევარი. ღმერთმა ქნას, ხაშურის ფეხბურთის საქმე აღმა წავიდეს და იქაურმა გულშემატკივრებმა თავისიანების თამაშით იხარონ, მაგრამ დღეს ერთი რამ უეჭველია: გვარამაძის, ლაცაბიძის, გეგეჭკორის, მაქაცარიას და სხვათა დაკარგვა, არა მგონია „ივერიას“ სასიკეთოდ წაადგეს. თუმცა, სჯობს მოვლენებს არ გავუსწროთ, მეორე წრე კარზეა მომდგარი და განახლებული „ივერიას“ თამაშებს დაველოდოთ. ვინ იცის, იქნებ...

იცით, არანაკლები პრობლემები აწუხებდა გორის „დილასაც“. გუნდი, ფაქტიურად, დაშლის პირას იყო მისული, მაგრამ სალმა აზრმა გაიმარჯვა. რაიონის უფროსობამ გუნდის შესანახად საჭირო თანხები გამონახა, ყველაფერი გაირკვა და შედეგმაც არ დააყოვნა — „დილა“ უკვე ვარჯიშობს და მეორე წრისთვის ემზადება. გუნდი შეკრებას საკუთარ სტადიონზე გადის. წამყვანი თავდამსხმელი მარლიშვილი, მართალია, ჯერ გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ მალე რუსეთს მიაშურებს, მცველები თარხნიშვილი და ბალაშვილი კი უკვე სწვევიან მოსკოვს და არ არის გამორიცხული, ისინი რომელიმე იქაურ კლუბში ვიხილოთ, თუმცა ეს ჯერ ვარაუდებია მხოლოდ. „ივერიასთან“ შედარებით „დილას“ საქმეს ისაც შეეშველა, რომ გორელებს არც ერთი „ლეგიონერი“ არ ჰყავთ, შინაურთან მოლაპარაკება და პრობლემების გადაჭრა კი, მოგეხსენებათ, უფრო იოლია, ვიდრე ჩამოსულთან.

ერთი სიტყვით, ეროვნულ ჩემპიონატში ქართლი ისევ ორ გუნდს გამოიყვანს, როგორ, ამას მომავალი გასცემს პასუხს.

მამუკა კვანტალიანი

# მამაჩემის ჩრდილში არ მოვექცევი...

**რა ურჩევნია მამულს? — ეს კარგად იცის უმცროსმა დათო მუჯირმა, გამოჩენისთანავე რომ მიიპყრო გულშემატკივართა ყურადღება — ტექნიკა და აზროვნება ისეთი აქვს, უეჭველად იფიქრებ, ამისგან ნამდვილად კარგი ფეხბურთელი დადგებაო. სხვათა შორის, ვინც იგი მოედანზე ნახა, ის ეჭვებიც გაუქარწყლებოდა, ასეთ შემთხვევაში რომ შეიძლება გასჩენოდა — დათო მუჯირი ხომ ცნობილი ფეხბურთელის დავით მუჯირის შვილი გახლავთ, ასეთებისვის კი ხშირად კარები უფრო ფართოდ ილება. თუმცა, ვიმეორებ, უმცროსი მუჯირი მათ რიცხვს ნამდვილად არ განეკუთვნება. ხშირად ისეც ხდება, რომ ცნობილთა შვილები მამების დონეს ვერ აღწევენ და მშობლის აჩრდილებადღა რჩებიან. ეს კანონზომიერება დათო მუჯირს არ ადარდებს:**

— მე მამაჩემის ჩრდილში არ მოვექცევი, ეს დანამდვილებით ვიცი და საერთოდ, ამაზე არც ვფიქრობ. რა არის ჩემი ვალი? ვივარჯიშო და უნარი გამოვაჩინო. მამაზე უკეთეს ფეხბურთს თუ ითამაშებ, თავისთავად კარგი იქნება. ხომ იცით, ის ურჩევნია მამულსა...

**— თუ გრძნობ საამისო ძალას, რომ ეს შეძლო?**

— მამაჩემის დროს უფრო ძნელი იყო თამაში. თანაც იმ დროს, ფაქტიურად, მხოლოდ ერთი გუნდი იყო — „დინამო“, იგივე საქართველოს ნაკრები. მაშინ მოთამაშეები საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრაზე ოცნებობდნენ, ახლა კი მეტი საშუალებაა, როგორც ქართველმა თავი გამოიჩინო და შენი ერის სახელი შორს გაიტანო.

**— ასე კია, მაგრამ დღეს რომ ნორმალური პირობები არ არის?**

— მართალია, მაგრამ მთავარი მაინც მონდომებაა.

**— შენ ინდომებ?**

— რა თქმა უნდა!

**— დავიჯერო, ვარჯიშებზე არ გიზარმაცია?**

— რომ ვთქვა, არა-მეთქი, არ დამიჯერებ, მაგრამ ეს მაინც იშვიათად ხდება. თუ გინდა, დიდი ფეხბურთელი გახდე, ვარჯიშებზე მაქსიმალურად უნდა დაიხარჯო, სხვანაირად ვერაფერს გახდები — დღეს ასეთი მოთხოვნებია ფეხბურთში.

**— შენ რომ მამის კვალზე დგახარ, ალბათ, უფროსი მუჯირის დამსახურებაა...**

— მამაჩემი რომ არა, ძალიან გამიჭირდებოდა. რასაც დღეისათვის მივაღწიე, სწორედ მისი დამსახურებაა და თუ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამ წინ, რისი დიდი იმედიც მაქვს, დარწმუნებული ვარ, ამაშიც წვლილს შეიტანს.

**— ვისაც დიდი ფეხბურთი უთამაშია, ხშირად ვერც წარმოუდგენია, რომ მის და მისი თაობის მსგავსად სხვებმა ითამაშონ. უფროსი დათო მუჯირი ამ მხრივ როგორ გექცევა?**

— მამაჩემი ჩემი საუკეთესო მეგობარია და როცა რაიმე მაინტერესებს, პირველად მას ვეკითხები. რაც უნდა იყოს, დიდი გამოცდილება აქვს მიღებული: საბჭოთა კავშირის პირველობებზე, ევროპის თასებზე... დიდ გუნდში თამაშობდა და რჩევებისთვის რაღა სხვას მივმართო. თუმცა, ჩემით მაინც არ არის კმაყოფილი, რაც უნდა კარგად ვითამაშო, მაინც შეცდომებზე მითითებს. კარგად მესმის მისი — უნდა, შვილი დიდი ფეხბურთელი ჰყავდეს.

**— შეცდომებზე რომ გითითებს, არ ღიზიანდები?**

— არა, ხომ ვიცი, მხოლოდ კარგი უნდა ჩემთვის. მეც სულ იმას ვცდილობ, მისი რჩევებიდან სწორი დასკვნები გამოვიტანო.

**— არასოდეს გიკამათია მამაშენთან ფეხბურთის გამო?**

— სერიოზულად — არა. როდესაც რაიმეზე მითითებს, მე ჩემსას ვამბობ ხოლმე, მაგრამ კამათით... რა ვიცი, ასეთი არ ყოფილა.

**— შენ სულ სხვა ამპლუის მოთამაშე ხარ, ვიდრე ის იყო...**

— ის სხვა სტილის მოთამაშეც იყო. სულ იმას მეუბნებიან, მამაშენის სისწრაფე და ჯანი რომ გქონდეს, უფრო ძლიერი ფეხბურთელი იქნებიო. მაგრამ, მეც რომ დაცვაში ვითამაშო, მაშინ ჩემს თამაშს აზრი აღარ ექნება.

**— ახლა მოსკოვში დამთავრებულ ტურნირზე ვისაუბროთთ. შენი აზრით, რატომ დავმარცხდით მინსკელებთან?**

— ალბათ, გამოუცდელობის გამო.

**— მაგაში ვერ დაგეთანხმები. ტურნირის წინ „სპორტ-ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მინსკელთა მწვრთნელი ჩიოდა, თითქოს ყველა წამყვანი მოთამაშე წავიდა და 19-20 წლის ბიჭებიღა შემრჩა ხელთო...**

— იცით, ამის მიუხედავად, მათ უმრავლესობას ევროპაში თამაშის გამოცდილება აქვს. ჩვენ კი უფრო ნაკლებად. თანაც დიდი ხნის შეთამაშებულები არიან, რასაც ჩვენზე ვერ იტყვი — ერთი წელია, ამ შემადგენლობით ვთამაშობთ. თუმცა, ცოტა იღბალი რომ გვქონოდა, მოგებაც შეიძლებოდა. მეორე ტაიმში ჩვენი უპირატესობა გამოიკვეთა კიდეც, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. მოკლედ, ამ ტურნირიდან დასკვნები აუცილებლად უნდა გამოვიტანოთ.

**— კონკრეტულად, რას გულისხმობ?**

— სათამაშო დისციპლინა, ფიზიკური მომზადება და კლასი გვაკლია.

**— დიდი ხანია, ყველა ამას ამბობს, მაგრამ ახალი ტურნირის შემდეგ იგივე გვესმის...**

— საქართველოში სუსტ გუნდებთან თამაშით უბრძოლველად მოგებას ვეჩვევით და ამის მერე ძნელია თუნდაც მინსკელებთან მოგება. ისინი ჩვენს ნებისმიერ გუნდს სჯობნიან, თუმცა, ჩვენზე მაღლა არ დგანან.

... ვინც შარშან, პირველ წრეში თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ თამაში ნახა, ალტაცებული დარჩა თბილისელთა ბოლო, მეხუთე გოლით, რომელიც დათო მუჯირმა გაიტანა, მეკარის საჯარიმოში მცველებით გარშემორტყმულმა ბურთი მკერდით მიიღო, აკენწლა და მაკრატელათი ცხრიანში გააგზავნა...

— იმ მატჩში [illegible] დაჯერებული ვთამაშობ.

— „დინამო-2“ მეორე ჯგუფში კი თამაშობს, მაგრამ, ჩემი აზრით, პირველ ჯგუფში ხუთეულში მაინც მოხვდებოდა...

— ერთს დანამდვილებით ვიტყვი — პირველ გუნდთან 11:0-ს არ წავაგებთ და ბევრსაც ვაჯობებთ. ხუთეულში მოხვდებოდა კი რა გითხრა, ძნელი სათქმელია.

**— შენი აზრით, მეორე ჯგუფის ლიდერებიდან რომელი უფრო იმსახურებს პირველ ჯგუფში გადასვლას?**

— ალბათ, „მერანი-91“. მომეწონა „აზოტიც“, „მორკინალიც“, მაგრამ მერანელები ყველას სჯობიან.

... მოლდოველებთან ბოლო მატჩზე ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს. მახსოვს, კიშინიოვიდან ჩამოსულმა ჩვენმა კოლეგამ მერაბ რატიშვილმა ასე დაასრულა იმ მატჩის მიმოხილვა: „სიმბოლური იყო, რომ ჩვენი ერთად-ერთი გოლი მუჯირ — აშვეთის კომბინაციას მოჰყვა. ამ ახალგაზრდებმა ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს“...

— თამაში შესვლისთანავე წამივიდა, ორი საგოლე პასი მივაწოდე აშვეთიას, ერთი გაიტანა, მეორე კი ვერა. მართალია, ცოტა ხანი ვითამაშე, მაგრამ კმაყოფილი დავრჩი — მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში პირველად ვითამაშე, მაინც არ გამჭირვებია.

**— ბევრჯერ უთქვამთ ძველებს — ახალი თაობის ფეხბურთელები უფრო პრეტენზიულები არიანო.**

— ახლა დროც სხვანაირია და ვითარებაც. ყველა ფეხბურთელი იმაზე ფიქრობს, რომ კარგად ითამაშოს, და კარგად აუნაზღაურონ შრომა. პრეტენზიები კი შენი თამაშიდან უნდა გამომდინარეობდეს.

**— თუ გინდა, დიდი ფეხბურთი ითამაშო, გარკვეული მსხვერპლიც უნდა გაიღო — გამუდმებით ივარჯიშო და ფეხბურთზე იფიქრო, ცხოვრებისეულ სიამტკბილობისთვის კი ნაკლები დრო გრჩება...**

— ახლა ისეთი დროა, სხვანაირად არც შეიძლება. თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩება და ვცდილობ, ეს დროც მეგობრებს დავუთმო.

**— შენი მეგობრები ძირითადად ფეხბურთელები არიან?**

— ესენიც, არაფეხბურთელებიც. სიმართლე გითხრა, ძნელია გამუდმებით ვარჯიში. ისე მომენატრება ხოლმე მეგობრების წრე, მზად ვარ მივატოვო ვარჯიში და მათთან გავიქცე. ფეხბურთი ჩემთვის უმთავრესია და ისე უნდა ვიცხოვრო, რომ ფეხბურთისთვისაც გამოვნახო დრო და მეგობრებისთვისაც...

მერაბ მამულაშვილი



# სამარელთა კავკასიური თავდასხმა



**მამუკა მინაშვილიც** იმათგანია, ვინც „დინამოდან“ დაიწყო, არ გაუმართლა, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატი მხნეულად მოევლინათ. „შევარდენისა“ და „ივერიას“ მერე, ფაქტიურად, მოუმზადებელი წავიდა რუსეთში, მაგრამ მაინც მოაწონა თავი „კრილია სოვეტოვის“ ხელმძღვანელობას და თითქმის ყველა მატჩშიც ითამაშა, რამდენიმე გოლიც გაიტანა და ორჯერ მეტი საგოლე პასიც მიითვალა. ერთხელ მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს. მოკლედ, აუტსაიდერ „კრილია სოვეტოვის“ ლიგაში დარჩენაში დიდი წვლილი შეიტანა, „სპარტაკ-ალანიას“ კი მისმა გოლმა ლამის ოქროს მედალი დააკარგვინა.

— უცნაური გუნდი გვყავს, აუტსაიდერ „როსტელმაშთან“ შინ 2:6 წავაგეთ, ვლადიკავკაზში კი კინაღამ მოვიგეთ. კუთხური გავითამაშეთ და მცველებს დავასწარი, ისე მაგრად დავუდექით ლიდერს, ყველანი გაოცდნენ.

**— ჩვენებურებს საყვედური ხომ არ უთქვამს?**

— არა, ეს ხომ ფეხბურთია, ჩვენი სამუშაო. პირიქით, თამაშის მერე კაცურად მოვიკითხეთ ერთმანეთი. ყაზულამ მანქანით სახლშიც კი წამიყვანა.

**— შენი აზრით, ბოლოს რატომ გაუჭირდა „ალანიას“ ჩემპიონობის მოპოვება?**

— მოსკოვის „სპარტაკი“ ძალზე გაძლიერდა, ჩინებული ფირმაში შევიდა და სამიოთხი ტური რომ კიდევ ყოფილიყო, ვფიქრობ, მოსკოველები წინ არავის გაუშვებდნენ.

**— სამარაში რამდენ ხანს აპირებ გაჩერებას?**

— კონტრაქტით კიდევ ერთი წელი მიწევს. ხელფასი და პრემია არასოდეს დაუგვიანიათ. კლუბს საკუთარი თვითმფრინავი ჰყავს, ქალაქის მერი და ოლქის გუბერნატორი ტიტოვი ყურადღებას არ გვაკლებენ. ჯერჯერობით ათეულს ვგეგმავთ, სერიოზულ მიზნებს არ ვისახავთ. გუნდიდან ოთხი კაცი წავიდა, ახლები მეორე ლიგიდან არიან...

**— სეზონი კარგად დაიწყე, მერე კი ხშირად გცვლიდნენ, ანაც შეცვლაზე გამოდიოდი...**

— ფიზიკურად ვერ ვიყავი სათანადოდ მომზადებული, ეს ხომ ასეცაა — როცა ჯანზე ხარ, ყველაფერი გამოგდის. სად საქართველოში და სად რუსეთში. ახლა იქ ჩემპიონატის დონე ძალზე ამაღლდა, ყველა გუნდი იბრძვის, უბრალოდ თამაშს ვერავინ მოიგებს, გუნდებში დიდი ფული ტრიალებს.

**— სამარაში შენით წახვედი?**

— არა, ხაშურში რომ ვთამაშობდი, კვიპროსს ვიყავი, იქ ვოვა გუცაევი ვნახე და „კრილია სოვეტოვში“ მისი დახმარებით მოვხვდი.

**— ხშირად მოგებული თამაშები წაგიგიათ...**

— ჩვენი მწვრთნელი ავერიანოვი ძალზე უცნაურ შეცვლებს აკეთებს... მოსკოვის „სპარტაკთან“ 1:0 იყო, სამი კაცი გამოგვიცვალა — 1:4 წავაგეთ. ასევე მოსკოვის „დინამოსთანაც“.

**— წიკლაური მართლა დააჯარიმეს „საგოლე მომენტების გამოუყენებლობისათვის“?**

— მეც წავიკითხე ეგ „სპორტ-ექსპრესში“, მსგავსი არფერი მომხდარა. ნუთუ დასაჯარიმებელია ფეხბურთელი, რომელიც ოფლს ღვრის, ძალით ხომ არ აცილებს. საერთოდ, მეც და წიკლაურსაც ბედი არ გვწყალობს — ბევრ მომენტებს ვაფუჭებთ. სამარაში სამი თავდამსხმელი ვართ, მე, წიკლაური და ავალიანი. მწვრთნელიც ამ სამეულიდან არჩევს ხოლმე ორს, მესამე კი შეცვლაზე შემოჰყავს...

**— წელს თუ იქნები ჯანზე?**

— ვფიქრობ, უკეთესად ვითამაშებ. სოჭში და სირიაში უკვე გავიარეთ შეკრება, გოლებიც შევაგდე. ახლა კვიპროსზე მივემგზავრებით, მერე ისევ სოჭში. პირველი მატჩი 2 მარტს ვლადიკავკაზში გვაქვს...

მამუკა კვარაცხელია

## ხუთის ამბები

სოსო ჭედიაზე კარგა ხანია არაფერი გვსმენოდა. ბოლო ცნობით, ისე ვიცოდით, ფეხბურთს შეეშვა და სხვა საქმეებით არის დაკავებულიო. არადა, ჭედია თურმე სხვაგვარად ფიქრობდა და ფეხბურთიდან წასვლა ნაადრევად მიუჩნევია. ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობის მსგავსად მანაც რუსეთს მიაშურა და იქაურ „კამაზში“, მიხეილ ჯიშკარიანთან აპირებს თამაშს. „კამაზი“ ამჟამად კისლოვოდსკში იმყოფება შეკრებაზე. გუნდის მთავარი მწვრთნელი ვასილი ჩეტვერიკი ჭედიას სწორედ იქ ელოდება და დიდი იმედიც აქვს, რომ ქართველი ფეხბურთელი კონტრაქტს ხელს მოაწერს.

**რუსეთის** უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ტოლიატის „ლადა“, რომელშიც დავით ცომაია და ვასილ სეფაშვილი თამაშობენ, შეკრებას სოჭში გადის. „ლადა“ საკონტროლო მატჩში მასავით დებიუტანტ, ოღონდ პირველლიგელ „გაზოვიკ-გაზპრომთან“ 2:3 დამარცხდა. ტოლიატელთა პირველი გოლი სეფაშვილის ანგარიშზეა.

**აკაკი** დევაძის „როსტსელმაში“ ამჟამად ისრაელს იმყოფება და ახალი სეზონისთვის მზადებასთან ერთად საკონტროლო მატჩებსაც მართავს. როსტოველებმა ისრაელის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბთან ჰაიფის „მაკაბისთან“ 3:3 ითამაშეს. საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე ამ მატჩში შეუცვლელად იდგა.

**ჯერ-ჯერობით** გაურკვეველია ტრანსფერზე წარდგენილ გოჩა გუჯაბიძის საკითხი. მისით ბევრი გუნდია დაინტერესებული, მაგრამ გარიგებას კვლავაც ის აბრკოლებს, რომ „როსტსელმაში“ გუჯაბიძეში საკმაოდ სოლიდურ თანხას ითხოვს.

არცთუ დიდი ხნის წინ ქართულ კრივს დავით კვაჭაძესთან აიგივებდნენ და ეს მართალიც იყო: მის მიერ ოციოდე წლის წინ მოპოვებული ევროპის ოქრო საკვეხნად გვქონდა, მერე და მერე კი, ამ ბოლო წლებში მედლებს საკმაოდ შევეჩვიეთ, ის კი არა, ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონობამდე ცოტაღა დაგვაკლდა. მოკლედ, აღმოსვლა დავიწყეთ. ეს მით უფრო საოცარია, რომ ჩვენს მოკრივეებს არათუ დალხინებული, კრივში დაწინაურებული ქვეყნების, არამედ საშუალოთა პირობებიც კი სანატრელი აქვთ. სპორტის დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტიც შეძლებისდაგვარად მხარში კი უდგანან, მაგრამ როცა თავად ქვეყანას უჭირს, ძნელია, სერიოზულ დახმარებაზე საუბარი.

ჩვენი დღევანდელი მოსაუბრენი კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ კიკნაველიძე და ნაკრების მთავარი მწვრთნელი როლანდ კვაჭაძე არიან.



საქართველოს ნაკრების იმედი გიორგი კანდელაკი

# ქართული მუშტებით დანიასა და ატლანტაში

— ბატონო ზურაბ, მოკლედ მოგვითხრეთ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატამდე განვლილ და გასავლელ გზაზე...

— ევროპის ჩემპიონატი, რომელიც დანიის ქალაქ ვეილეში გაიმართება, ორმაგად მნიშვნელოვანია. ერთი იმიტომ, რომ თავისთავად ევროპის ჩემპიონატია და ქართველ მოკრივეებს შანსი ეძლევათ კვაჭაძისა და კანდელაკის მიღწევა გაიმეორონ. მეორეც, დანიაში გათამაშდება ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიები, რაც უფრო მეტ ფასს სდებს ევროპის ამ ჩემპიონატს.

მზადება შარშან, ივნისში დავიწყეთ და ნაკრების მთავარ მწვრთნელად, ჩემი აზრით, საქართველოში დღესდღეობით საუკეთესო სპეციალისტი — როლანდ კვაჭაძე მოვიწვიეთ. ერთი თვის მერე, ივლისშივე შეკრება მოვაწყვეთ ნაკრების კანდიდატებისთვის, სექტემბერში სევასტოპოლის საერთაშორისო ტურნირზე 6 მოკრივე წავიყვანეთ, და ოთხი მედალი ჩამოვიტანეთ (1 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო), ნოემბრის დასაწყისში რვა მოკრივით ვიასპარეზეთ ბაქოში — რვავემ მედალი მოიპოვა (შესაბამისად, 4, 3, 1), შემდეგ ირანში წავიყვანეთ ათი მოკრივე და ოთხი მედალი მივიღეთ (1, 2, 1), გასული წელი კი დეკემბერში მოსკოვში გამართული დიდი საერთაშორისო ტურნირით დავასრულეთ, რომელიც რუსული კრივის 100 წლისთავს ეძღვნებოდა. აქ ჩვენი სამი მოკრივე გამოდიოდა და ერთი ოქროსა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩვენმა აღზრდილებმა, რამაზ ფალიანმა და პაატა გვასალიამ კი რუსეთის სახელით მოიპოვეს ოქროს მედლები...

მოკლედ, გასული წელი საკმაოდ ნაყოფიერად გამოვიყენეთ, ნაკრების კანდიდატებს მან საკმაოდ ბევრი შესძინა — მათ მეტად საჭირო გამოცდილება მიიღეს. დიდი შეჯიბრებებისთვის მზადების პერიოდში მოკრივეს 18-20 ოფიციალური ბრძოლა მაინც უნდა ჰქონდეს ჩატარებული, ამით აიხსნება ჩვენი შარშანდელი დიდი მეცადინეობა, ყველა ტურნირში მიგველო მონაწილეობა. არც წლევანდელი წელია გამონაკლისი — იანვრის დასაწყისშივე ხუთი მოკრივით გავემგზავრეთ შვედეთში, ქალაქ სუნდსვალში, იქ კანდელაკი კვლავ ჩემპიონი გახდა, ერთიც ვერცხლის და ორიც ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. ამ ტურნირის თაობაზე თქვენმა გაზეთმა დაწერა და სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მომავალ გეგმებზე გეტყვით. თებერვლის დამდეგისთვის ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დიდი მეცადინეობით ბულგარეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა საწვრთნელ შეკრებაზე მიგვიწვია სოფიაში. იქ 14-დან 19 თებერვლამდე დიდ საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ, შემდეგ ერთი კვირა ისევ ბულგარეთში გავაგრძელებთ მზადებას, 28 თებერვლიდან 3 მარტამდე კი გერმანიაში გადავალთ და ჰალეს დიდ საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზებთ. ეს ტურნირი გეგმაში კი გვიზის, მაგრამ ჯერჯერობით გერმანიიდან მიწვევა არ მიგვიღია. მარტის პირველ რიცხვებში ნაკრები შინ დაბრუნდება და ერთი კვირა მოემზადება, მერე კი ნაკრები 11-დან 27 მარტამდე პოდოლსკში გაივლის ორკვირიან შეკრებას, სპარინგ-პარტნიორად რუსეთის ნაკრები გვეყოლება. ამასობაში მოსკოვში საბუთებს გავაფორმებთ დანიისთვის და კოპენჰაგენის გავლით ვეილეში ჩავალთ.

— ევროპის ჩემპიონატზე უფრო დაწვრილებით გვითხარით, მითუმეტეს, რომ დანიაში ატლანტის ლიცენზიები გათამაშდება.

— ვეილეში 29 მარტს ჩავალთ, მეორე დღეს აწონვებია, მერე კი გაიხსნება ჩემპიონატიც, რომელიც 8 აპრილს დასრულდება. ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიები ასე განაწილდება: ყველა წონაში მეოთხედფინალში გასული რვა მოკრივე ატლანტის ლიცენზიას მიიღებს, გარდა ამისა, მერვედფინალში დამარცხებულ იმ მოკრივეს, რომლის მძლეველი შემდგომ ევროპის ჩემპიონი გახდება, ამ წონაში მეცხრე ლიცენზიას მისცემენ. ასე რომ, ჩვენი ბიჭები მეოთხედფინალში მაინც უნდა გავიდნენ...

რაც შეეხება უშუალოდ ნაკრებს, ვფიქრობ, ამაზე ჩემზე უკეთ ნაკრების მთავარი მწვრთნელი როლანდ კვაჭაძე გესაუბრებათ.

— ბატონო როლანდ, ევროპის ჩემპიონატზე რამდენი მოკრივის წაყვანას ვარაუდობთ?

— დანიაში რვა მოკრივის წაყვანას ვგეგმავთ. გვსურს, ექვსი ლიცენზია მაინც მოვიპოვოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო რეალური 3-4 ლიცენზიის მოპოვებაა.

— კაკაურიძეზე რას გვეტყვით? საქართველოს სახელით გამოსვლის უფლება რომ აქვს, ვიცი, მაგრამ ივლისიდან აქამდე არც ერთ შეჯიბრში არ გამოსულა საქართველოს სახელით...

— ჩვენი ოლიმპიური კომიტეტისა და კრივის ფედერაციის გარჯის წყალობით, თურქეთის ოლიმპიური კომიტეტის თანხმობით კაკაურიძე საბოლოოდ დაგვიბრუნდა. მოსკოვის ტურნირზევე შეგვეძლო მისი წაყვანა, მაგრამ ტაქტიკურ მოსაზრებების გამო თავი შევიკავეთ, აი, შვედეთში კი უეჭველოდ უნდა წამოსულიყო, საბუთებიც მზად ჰქონდა და თავგამოდებითაც ემზადებოდა, მაგრამ წასვლის წინ გაცივდა, რამდენიმე დღით ჩაწვა და მის წაყვანას აზრი აღარ ჰქონდა. ბულგარეთში უკვე ჩვენთან იქნება და მისი დიდი იმედიც გვაქვს.

— მოდით, ცოტა წინ გავიხედოთ. ოლიმპიადის ლიცენზიების მოპოვების შემდეგ ატლანტაში რამდენიმე მედალს ვარაუდობთ?

— თუ მუშაობა ისე წარიმართება, როგორც მსურს, ოლიმპიადაზე ორი მედლისთვის ბრძოლას ექნება აზრი. თუ თავდაუზოგავად ივარჯიშებს, კანდელაკი და გოგოლაძე უეჭველად მოიპოვებენ ატლანტის ლიცეზიებს. ამის შანსი კოღუაშვილს და ვარძელაშვილსაც აქვთ. მე რეალობიდან გამომდინარე გელაპარაკებით...სიტყვამ მოიტანა და, ჩვენგან უდროოდ წასულ სარსანიაზეც მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. მისი შემართების, ხასიათის და ბუნებრივი მონაცემების პატრონი, დღეს რომ ჩვენს გვერდით ყოფილიყო, ზემძიმე წონაში ატლანტიდან უმედლოდ არ დაბრუნდებოდა.

...ჩვენი შემდეგი კითხვების ადრესატი კვლავ ზურაბ კიკნაველიძე გახდა.

— ადრე კრივში მხოლოდ დავით კვაჭაძის ევროპის ოქროთი მოგვქონდა თავი. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ქართული კრივის ასეთი აღზევება?

— უპირველეს ყოვლისა, საკავშიროდან გამოყოფით. ახლა ერთსა და ორში კი არა, ყველა წონაში მიეცათ ქართველებს დიდ შეჯიბრებებზე გამოსვლის შანსი. კანდელაკი ჯერ 22 წლისაა, მაგრამ უკვე ევროპის ჩემპიონია და თუ კიდევ გაიზარდა, მას მსოფლიოს ჩემპიონატისა თუ ოლიმპიადის მოგებაც შეუძლია. მერე ამათმა წარმატებებმა სტიმული მისცა ბავშვებს, ახლა საქართველოში ზედიზედ იხსნება კრივის სექციები თუ სკოლები სხვადასხვა ქალაქებში. მარტო სოფელ ვარიანში, გიორგი კანდელაკის სკოლაში 120 ბავშვი ვარჯიშობს! ნახავთ, სულ რამდენიმე წელიწადში, ქვეყანა რომ მოღონიერდება, ქართული კრივი ყველა წონაში იტყვის თავის სიტყვას.

ახლა კი გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია ნაკრები გუნდისთვის ბაზის საკითხის მოგვარება. არადა, რეალურად არის იმის შესაძლებლობა, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ დახმარებით გადმოგვეცეს ვერის პარკის კრივის დარბაზი. ჩვენ მას შევარემონტებთ და პირობას გაძლევთ, ჩვენი მოკრივეების წარმატებები ერთიორად იმატებს. ამის თქმის უფლებას მაძლევს ქართველი მოკრივეთა დღევანდელი მიღწევები და შესაძლებლობები, ნიჭიერ ბავშვთა მოზღვავება კრივში და, რაც მთავარია ის, რომ ფედერაცია მარტო არ არის — ოლიმპიური კომიტეტი და სპორტის დეპარტამენტი ამ გაჭირვების ჟამს ისე გვეხმარებიან, ვფიქრობ, მალე მოვა ქართული კრივის დროც...

მამუკა კვარაცხელია





ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრალიის ღია ჩემპიონატის შემდეგ ანდრე აგასი კვლავ მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი გახდა. როგორც დღეს შემოთავაზებული ინტერვიუდან შეიტყობთ, ანდრე დიდი ქველმოქმედი და შვილს დანატრებული კაცი ყოფილა, ჩოგბურთი და ბრუქ შილდსი კი ყველაზე მეტად ჰყვარებია.

# მთავარი ამოცანა – მამობა!

**— რა განსხვავებაა შარშანდელ და წლევანდელ აგასის შორის?**

— წელს არა მარტო კორტზე ვირწმუნე ჩემი ძალების, ცხოვრებაშიც გადავლახე ისეთი პრობლემები, რომლებიც წლების მანძილზე მაწუხებდა. კონკრეტულად რა პრობლემები მქონდა, ამაზე საუბარს თავს ავარიდებ, უბრალოდ, მათი გახსენებაც არ მსურს. ახლა ის ადამიანი ვარ, რომელიც მინდოდა ვყოფილიყავი.

**— ამასთან, უზომოდ მდიდარი ადამიანიც ბრძანდებით...**

— დიდი ხანია, ფული იმდენი მაქვს, რამდენზეც კი ვიოცნებებდი. მაგრამ რაც უფრო მეტ გასამრჯელოს იღებ, იმაზეც ხშირად ფიქრობ, რომ გსურს ფული არიგო და კეთილი საქმეები აკეთო.

**— კონკრეტულად რას ახმართ თქვენს შემოსავალს?**

— პირველ რიგში, ჩემს თავს ვუხდი ხელფასს, რეალობას რომ ამ მოვწყდე. ვიცი, ეს ჯამაგირი ბევრჯერ მაღალია საშუალო მოსამსახურისაზე, მაგრამ ამით ცხოვრებას ვუწყობ ფეხს. ჩემს ბიუროს ვინახავ, ვიხდი გადასახადებს. ლას-ვეგასში ფონდიც დავაარსე, რომელიც ღარიბ და უპატრონო ბავშვებს ეხმარება. მიყვარს კარგად ცხოვრება და ამისთვის არაფერს ვიკლებ. მაქვს საკუთარი სახლი და მყავს თვითმფრინავი, რომელსაც სამოგზაუროდ ვიყენებ.

**— რა გრძნობა გეუფლებათ, როცა „აგასი აირლაინსის“ თვითმფრინავის სავარძელში მოიკალათებთ ხოლმე?**

— საქმე ისაა, რომ თვითმფრინავში შებიჯებისთანავე ჩემი სამსახური იწყება, მიფრინავ მორიგ ტურნირზე, სადაც შენი ძალის დამტკიცება გიხდება. და კიდევ: სასიამოვნო გრძნობაც გეუფლება და ფიქრობ — ღმერთო ჩემო, რა შესანიშნავია, ეს ხომ ჩემი საკუთარი თვითმფრინავია...

**— შეცვალა თქვენი ცხოვრება ბრუქ შილდსთან მეგობრობამ?**

— ბევრი ასე თვლის. მაგრამ ეს ხომ ბუნებრივიცაა, მე ეს ქალი ცხოვრებაზე მეტად მიყვარს და, რა თქმა უნდა, ის ჩემზე გავლენას მოახდენდა. მან შინაგანი თავისუფლება მომანიჭა.

**— მორიდებული ადამიანი ბრძანდებით?**

— ბავშვობაში საოცრად მორცხვი ვიყავი. შემდეგ ნელ-ნელა დავძლიე სიმორცხვე. მაგრამ მართალი რომ გითხრათ, ახლაც საკმაოდ მორცხვი ვარ.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ვინმეს დაუმეგობრდით, მას აღარასოდეს მიატოვებთ?**

— მართალი ბრძანდებით. მე ლოიალური ადამიანი ვარ. ჩემი ბავშვობის მეგობარი ჩემს საქმეებს განაგებს. ჩემი ძმაც ჩემთან მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ჩემს ყოფილ მწვრთნელს ნიკ ბოლეტიერს არაფრის ახლის მოცემა აღარ შეეძლო, მაინც მასთან ვიყავი მანამდე, სანამ მას სურდა, მასთან მევარჯიშა.

**— როგორ გადაწყვიტეთ პროფესიონალური ჩოგბურთელობა?**

— არასოდეს მისურვებია სხვა რამ!

**— ჩოგბურთელი რომ არ გამხდარიყავით, რას გააკეთებდით ცხოვრებაში?**

— მე მხოლოდ მსოფლიოში პირველი ჩოგბურთელობა მინდოდა. მიჭირს ჩოგბურთის ალტერნატივაზე ფიქრი. ალბათ კოლეჯში სწავლას გავაგრძელებდი. ახლაც კი მინდა სწავლის განახლება, თუკი ამის შანსი მომეცემა.

**— რისი სწავლა გსურთ?**

— საგნებისა, რომლებიც მე მაინტერესებს — ფილოსოფია ან რელიგია. ალბათ, მასწავლებელი ან რაღაც ამგვარი ვიქნებოდი.

**— რას ნიშნავს თქვენთვის ჩოგბურთი?**

— ამჟამად ადრინდელზე მეტად ვაფასებ ჩემს პროფესიას. კარიერის ბოლოს დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე ამოვწურე. მინდა ჩოგბურთს ორჭოფობის გარეშე შევეშვა, ყველა ჭეშმარიტი სპორტსმენის ოცნებაა, მიაღწიოს შესაძლებლობების პიკს და ისე წავიდეს, გულში ხინჯი არ დარჩეს.

**— რა არის თქვენი ცხოვრების უმთავრესი მიზანი?**

— მამობა!

**— ხუმრობთ?**

— არა. მსურს, ჩემს შვილებს ჩემთან დროის გატარება უხაროდეთ.

**— ტურნირის დაწყებამდე რაზე ფიქრობთ უმეტესად?**

— სისულელედ შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ ყველა შეჯიბრის მოგება ძალმიძს. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი განსხვავება ძველსა და ახალ აგასის შორის.

„შპორტ-ბილდიდან“ თარგმნა
ერეკლე კიკილაშვილმა



**გაილია** ორი ტური და პროგნოზების მოყვარულთა ჯიბრზე უდანაკარგოდ მიდის არა ინგლისი ან საფრანგეთი, არამედ შოტლანდია. ეს მაინცდამაინც არ უნდა იყოს გასაკვირი, რაკილა მაჩანჩალებად შერაცხულმა სქოთებმა შარშან ინგლისს ბოლო ტურშილა დაანებეს დიდი სლემი, მერე კი მშვენივრად ითამაშეს მსოფლიო თასზე. იმ შემადგენლობიდან გუნდს მცველ და კაპიტან გევინ ჰეისთინგსის გარდა ყველა მოთამაშე შემორჩა. გარდა ამისა, წინა ჯერზე, როცა შოტლანდია წლევანდელი რიგით ეთამაშა მეტოქეებს, სქოთებმა დიდი სლემი გაახერხეს. ეს ამბავი 1990 წელს მოხდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 35:24 | 4-2 | 4 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 33:30 | 2-2 | 2 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 29:31 | 1-2 | 2 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 15:21 | 2-2 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 10:16 | 1-2 | 0 |

მესამე ტური: 17.II. საფრანგეთი — ირლანდია, უელსი — შოტლანდია

| შოტლანდია | – | საფრანგეთი |
|---|---|---|
| 2ლ, 3ს (11) 19 | - | 14 (8) ლ, 3ს |

მარიფილდში ციოდა. გარეშემო მთების ფერდებზე ჯერაც თოვლი ჩანდა. ქარი არა ქროდა.

მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს. შეპარდის იერიში გააგრძელა რედფასმა და მაიქლ დოდზს ლელო გაატანინა 5:0. ბოლოს ისეც გამოვიდა, რომ ინგლისის „ნორსჰემპტონის" მცველმა, ნაკრებში გარემარბად რომ ათამაშებენ, გუნდს უკლებლივ ყველა ქულა პირადად მოუხვეჭა, თუმცაკი კარს ექვსი დარტყმაც დააცილა.

კარგად ვერც ფრანგებმა ურტყეს, თუმცკი თხუთმეტეულში ხუთი პოტენციული ბომბარდირი ჰყავდათ. ლაკრუამ უხეიროდ დაიწყო. მერე ეს თანამდებობა კასტენიედმა გადაიბარა და ერთი საჯარიმოც შეაგდო, მაგრამ დოდზმა ორი გოლიც გაიტანა 11:3. ყვითელი ბარათი დაიმსახურა ზორბა მერლმა. მოიერიშე სადურნი მასპინძლებმა კიდეზე გადაიყვანეს, მაგრამ დერეფნიდან აბდელ ბენაზიმ ლელო მაინც გაუტანათ.

მეორე ნახევარშიც ერთთავად მასპინძლები იყვნენ წინ. თაუნზენდმა და რედფასმა დოდზს მეორე ლელო გაატანინეს 16:11, რასაც კვლავ ლაკრუას საჯარიმო მოყვა. თამაშის ბოლოს ისევ სქოთებმა იძალეს. პიტერსის ალაგმვა ბენაზის ჯარიმად დაუჯდა და დოდზმაც ერთობ შორიდან უძლიერესად დაარტყა 19:14.




ხუთი ერის პირველობა
მეორე ტური. 3 თებერვალი

# სქოთები აღარ ხუმრობენ

მასპინძლებმა მსოფლიო თასზე წაგებისათვის რევანში აიღეს.

შოტლანდია: შეპარდი; ჯოინერი, ს. ჰეისთინგსი, ჯარდინი, დოდზი; თაუნზენდი, რედფასი; ჰილთონი, მაქქენზი, რაითი; ქემბელი, ვეარი; ვეინრაითი (კაპიტანი), სმითი, პიტერსი

საფრანგეთი: სადურნი; ნტამაკი, პენო, კასტენიედი, სანტანდრე (კაპიტანი); ლაკრუა, კარბონო; პერიე, გონზალესი, კალიფანო; მერლი, რუმა; ბენაზი, კაბანი, პელუ

მსაჯი თომასი (უელსი)

| ინგლისი | – | უელსი |
|---|---|---|
| 2ლ, გ, 3ს (7) 21 | - | 15 (5) 2ლ, გ, ს |

თვიქნემში ყინავდა. ნიადაგი იდეალური იყო. ნიავი მოედნის გასწვრივ უბერავდა. შესვენებამდე ინგლისს მოუწია პირქარში თამაში.

უელსის მწვრთნელ კევინ ბაურინგს ერთობ გადაეხალისებინა გუნდი. მართალია, შემადგენლობაში დაეტოვებინა იაიან ევანსი (57 კეპი), გარეს ჰლუელინი (41) და ემირ ლუისი (37), მაგრამ ერთბაშად ათ (!) კაცს, მათ შორის კაპიტანსაც, პირველად უნდა ეთამაშა ინგლისური რაგბის ტაძარში. ახალბედებს შორის იყო 21 წლის 10 ნომერი არველ (და არა ალვინ, როგორც წინა „სარბიელში" შეცდომით გვეწერა) თომასი, რომლის გამოც ამბობენ, კარგა ხანია, უელსს ეგეთი ნიჭიერი მობურთალი არა ჰყოლიაო.

ა. თომასმა მართლაც საინტერესოდ ითამაშა, თუმცკი კარში მთლად კარგად ვერ ურტყა. თამაშის დაწყებიდან 10 წუთი იყო გასული, რომ ნორჩმა ტალანტმა კარში დარტყმის ნაცვლად უეცრად გაათამაშა საჯარიმო, რაც მაორი (ზელანდიის მკვიდრი) ჰემი თეილორის ლელოთი დასრულდა. მანამდეცა და მერეც ინგლისის დამრტყმელმა გრეისონმა სამი საჯარიმო გააფუჭა.

მასპინძელთა ზორზოხმა მორკინალეებმა თანდათან დაიბრიყვეს მეტოქე. 35-ე წუთზე ქარლინგმა და გასქოთმა გაარღვიეს უელსის დაცვა. ბურთი ბევრჯერ ჩათამაშ-ჩამოთამაშდა. ლელოსთან დაინიშნა საჯარიმო. ინგლისმა შერკინება ითხოვა და ოთხჯერ სცადა ლელოს ძალისძალად გატანა. ამ საქმიდან რომ არაფერი გამოვიდა, ქლარქმა აიღო ბურთი. ქარლინგის შემწეობით რორი ანდერვუდმა კარიერის 49-ე ლელო გაიტანა, თუმცკი ბურთი წინ გაუვარდა. გრეისონმა გარდასახა 7:5.

მეორე ნახევარში სტუმრები დალუპა კიდევ ერთმა ახალბედამ — ჯასთინ თომასმა. ყოვლად უხიფათო ვითარებაში მის დარტყმას დააფარა ჯერი გასქოთმა და მე-18 ლელოც მიითვალა. მერე გრეისონმა — ორი, ა. თომასმა კი ერთი საჯარიმო შეაგდეს. ქარლინგი, ვინც კაპიტნობის მიუხედავად შემადგენლობის დადგენაში თურმე აღარ მონაწილეობს, აკოჭლდა და გამოცვალეს.

მატჩის ბოლოს ისევ უელსმა შეუტ... 75-ე წუთზე პაულიმ ლელოთი, ა. თომასმა კი გარდასახვით სხვაობა 6 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ ბოლო წუთზე სტუმართა მრავალფაზიანი შეტევა იმით დასრულდა, რომ უელსელები თავად დაჯარიმდნენ.

ინგლისი: ქეთი; სლაითჰოლმი, ქარლინგი (კაპიტანი) (დეგლენვილი), გასქოთი, რ. ანდერვუდი; გრეისონი, დოუსონი; რაუნთრი, რიგანი, ლენარდი; ჯონსონი, ბეიფილდი; როდბერი, დალალიო, ქლარქი

უელსი: ჯ. თომასი; ი. ევანსი, ლ. დევისი, ნ. დევისი, პროქტორი; ა. თომასი, პაული; ა. ლუისი, ჯ. ჰამფრიზი (კაპიტანი) (გ. ჯენქინსი), ჯ. დევისი; ჰლუელინი, დ. ჯოუნზი; ე. ლუისი (ს. ვილიამზი), გ. ჯოუნზი, ჰ. თეილორი

მსაჯი მაქქართნი (შოტლანდია)

**ერთი კვირის წინ** ლონდონში გამართულმა რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) წლიურმა სხდომამ დაადგინა, რომ ოფისი ბრისთოლიდან გადაიტანოს **დუბლინში**, სადაც უფრო შეღავათიანი დაბეგვრის სისტემაა. შეიცვალა ირბ-ის წესდებაც. ამიერიდან თავმჯდომარე როტაციით კი აღარ დაინიშნება, არამედ აირჩევენ. ეს პატივი პირველს ხვდა წილად უელსელ ვექილ **ვერნონ პიუს**, ვისი წვლილიც უელსური რაგბის მმართველი აპარატის დაწმენდაში, რაგბის გაოლიმპიურებასა და გაპროფესიულებაში განუზომელია.

ყაფლან ჯანდიერი

## პოვენმა ყველას აჯობა

[illegible] — მაიკლ ჯორდანისა და „მეჯიქ" ჯონსონის [illegible] შერკინება [illegible] დასრულდა. ჯორდანმა 17 ქულა მოაგროვა, ჯონსონმა — 15. მაიკლის „ჩიკაგო ბულზმაც" 99:84 აჯობა მეჯიქის „ლოს-ანჯელეს ლეიკერზს", რითაც ზედიზედ მე-18 მატჩი მოიგო. ჩიკაგოელთაგან ყველაზე შედეგიანი სკოტი პიპენი იყო — 30 ქულა!



აშშ-ის საოსტატოს ექს-ჩემპიონს, უელსელ მეგოლფე იენ ვუზნემს ბოლო წელიწადნახევარი შეჯიბრი ვერ მოეგო და მსოფლიო კლასიფიკაციაში 57-ე საფეხურამდეც ჩამოქვეითებულიყო, მაგრამ წელი წედიზედ ორი გამარჯვებით დაიწყო: სინგაპურში „ჯონი ვოკერ კლასიკის" მოგების შემდეგ კვირას პერთში „ჰაინეკენ კლასიკშიც" გაიმარჯვა. ორივე შეჯიბრი ევროპული ტურის პროგრამით გაიმართა, პერთის ტურნირი კი ამავდროულად ავსტრალიის ტურშიც ითვლებოდა, რაც სახელია. „ვუზიდ" ცნობილმა ვუზნემმა და ირლანდიელმა პოლ მაკგინლიმ ბოლო, 72-ე ორმოს ერთნაირი მონაგარით მიატანეს, იქ კი უელსელმა ერთი დარტყმით ნაკლები იმყოფინა და ჯილდოდ 90 ათასი გირვანქაც მიითვალა.



სუნ კაიუნი

# დიაცთ ჭოკები შვენით

ახალ სახეობაში — ქალთა ჭოკით ხტომაში ზედიზედ აუმჯობესებენ მსოფლიო რეკორდებს. ათი დღის წინ ავსტრალიელი გოგო — ემა ჯორჯი პერთის სტადიონზე 441 სანტიმეტრზე ახტა. აი, ჩეხი დანიელა ბარტოვა და ჩინელი სუნ კაიუნი კი ევროპის დარბაზებში ასპარეზობენ.

ჯერ იყო და ჩეხი შინ 420-ზე ახტა, მაგრამ ოთხი დღის თავზე (28.I) ჩინელმა გერმანიაში 421 დაძლია, შუა წინა კვირაში კი იმავე ქვეყანაში 427-ზე ახტა. ესოდენი პროგრესის მიუხედავად ქალთა ჭოკს თურმე მაინც არ შეიტანენ სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაში. დაუწერელი კანონი ყოფილა, მძლეოსნობის ესა თუ ის ნომერი თამაშებზე რომ მოხვდეს, საამისოდ იგი საერთაშორისო ფედერაციის წევრ ქვეყანათა მინიმუმ ნახევარში უნდა იყოს დანერგილი.

რეზო ნემსაძე

# ბათქა-ბუთქიანი პრელუდია

ბოლო ორი კვირაა შფოთავს ავსტრალიური კრიკეტის უფროსობა: ჯერ იყო და ნაკრების მოთამაშეებს ჰინდუსტანიდან მუქარის წერილები მოსდიოდათ, მსოფლიო თასზე რომ ჩამობრძანდებით, დედას გიტირებთო. ამის გამო ნაკრებმა ორსაათიანი კრება გამართა და დაადგინა, მაინც გამგზავრებულიყო შეჯიბრებაზე, ერთ კვირაში ინდოეთში, პაკისტანსა და შრი-ლანკაზე რომ უნდა დაიწყოს.

ოთხშაბათს, 31 იანვარს ვითარება რადიკალურად შეიცვალა: შრი-ლანკის დედაქალაქ კოლომბოს ცენტრში თამილმა სეპარატისტებმა ააფეთქეს ყუმბარა, რასაც 75 კაცი შეეწირა. არადა, ავსტრალიელები უნდა ჩამოხდნენ სასტუმროში, ტერორისტული აქტის ადგილს 100 მეტრით რომაა დაშორებული.

ტელევიზიით გამოსვლისას ნაკრების ლიდერებმა თქვეს, თუმცკი მსოფლიო თასი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და მისი მოგებაც ერთობ გვსურს, მაგრამ არც ჩვენი სიცოცხლე გვემეტებაო. კრიკეტის მამებიც ამ აზრზე არიან: თავიდან ყაბულსაც იყვნენ, საერთოდ არ ჩავალთ კოლომბოში და დაე, წაგება მოგვესაჯოსო, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ვესტ-ინდოეთი, ზიმბაბვე და კენია სხვაგვარად ფიქრობენ, რის გამოც გუშინ ავსტრალიამ ოფიციალურად მოითხოვა, 17 თებერვალის მატჩი შრი-ლანკასთან ბომბეიში (ინდოეთი) გადაგვიტანეთო.

# სათხილამურო ამბოხი მწადდება



სამთო-სათხილამურო სპორტში დიდი განხეთქილება მომწიფებულა. ალბერტო ტომბას რანგის ვარსკვლავებს თურმე ეცოტავებათ ჰონორარები, რის გამოც მხარს უჭერენ მეამბოხე სტრუქტურას, მსოფლიო თასის გარეშე რომ აპირებს ყოველწლიურად გამართოს 10-15 ისეთი შეჯიბრი, რომელთა ჯამური საპრიზო ფონდი სარფიანი სატელევიზიო ხელშეკრულებების წყალობით 6-10 მილიონი დოლარი იქნება.

პირველი ამგვარი, ოღონდაც საჩვენებელი გიგანტური სლალომი პარასკევს უნდა გამართულიყო გარმიშ-პარტენკირხენში, სადაც ამ ორი წლის წინ ტრაგიკულად დაიღუპა ულრიკე მაიერი. ორგანიზატორებს მას აქეთ 160 ათასი დოლარი დაუხარჯავთ დამცავი ბადეებისა და ჯებირების მოსაწყობად, თუმცკი ჯერაც სასამართლოებში უწევთ სირბილი, მაიერის ჭირისუფალთა ბრალდებები რომ უარყონ.

საჩვენებელი ღონისძიება ავდარმა ჩაშალა. ვარსკვლავები დაიბოღმნენ, ეროვნულმა ფედერაციებმა კი შვებით ამოისუნთქეს, ვინაიდან მის მონაწილეებს დისკვალიფიკაციას დაქადნებოდნენ. 135 ათასი დოლარიც გაუთამაშებელი დარჩა. სამაგიეროდ, ოფიციალური მსოფლიო თასის პროგრამით გერმანელმა კატია ზაიცინგერმა (ფოტოზე) ვალდიზერში პარასკევს, შაბათსა და კვირას ორი სუპერ-გიგანტი და ერთიც სწრაფდაშვება მოიგო, და წელს უკვე ექვსი მოგებული ეტაპი დაუგროვდა.

# უჭირთ ჩემპიონებს




ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვება ძვირად დაუჯდათ ბორის ბეკერსა და მონიკა სელეშს — ორივეს გაუმიზეზდა ძველი ტრავმები და ასპარეზს გამოაკლო ჩემპიონები.

ბორისი ზურგმა შეაწუხა, რის გამოც ამ კვირის ბოლოს (9-11. II) დევისის თასზე გერმანიის შემადგენლობაში ვერ ითამაშებს შვეიცარიის წინააღმდეგ. ტრავმის მოშუშებას ოთხი კვირა დასჭირდება. წინა კვირაში კი თავი გამოიჩინა ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა, ვინაც შინ, ზაგრებში, ჰერქვეშა პირველობის ფინალი 3:6, 6:3, 6:2 მოუგო ფრანგ სედრიკ პიოლინს.

მოიგო არანაკლებ ცნობილმა ხორვატმა ქალმაც — 18 წლის ივა მაიოლიმ. მან გაიმარჯვა ზღვისრეთის ღია პირველობაზე, ტოკიოში რომ გაიმართა.

იქ სელეშმაც ითამაშა. მონიკამ, აქაოდა კუნთი დამეჭიმაო, არ იასპარეზა წყვილთა შეჯიბრში. იგი თავისუფალი იყო პირველი წრიდანაც, სადაც ნორჩ შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა ორ ხელში აჯობა გაბრიელა საბატინის (არგენტინა).

ჰინგისმა გააღწია ნახევარფინალში, სადაც მას 3:6, 6:3, 6:0 მოუგო ზემოთხსენებულმა მაიოლიმ (7). ამან მეოთხედფინალში 1:6, 7:6, 6:4 აჯობა სელეშს, ვინაც მერვედფინალში 6:4, 6:2 დაამარცხა რუმინელი არინა სპირლეა. მეორე ნახევარფინალში ერთმა ესპანელმა — არანჩა სანჩეს-ვიკარიომ (3) სძლია მეორეს — კონჩიტა მარტინესს (2) 6:4, 5:7, 6:4, მაგრამ ფინალში ორ ხელში წააგო ისევ და ისევ მაიოლისთან.

რაც შეეხება სელეშს, მან განაცხადა, რომ აუცილებლად იასპარეზებს ატლანტის ოლიმპიადაზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29